ლელო

№44
(10955)

ნოემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია •ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

15 ნოემბერი. კიშინიოვი. ცენტრალური სტადიონი.

მოლდოვა (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები) 3-2 (2-0).

მოლდოვა: კოშელევი, სეკუ, ტესტიმიცანუ, კულიბაბა, ბელოუსი, ნანი, ოპრია (სუხარევი, 54), კირილოვი (გავრილიუკი, 80), მიტერევი, კუჩ[illegible]ანუ (ჩიბოტარუ, 76), კლეშჩენკო.

საქართველო: ზოიძე, ლუდუშაური (დ. ჯანაშია, 58), ბერაძე, კუდინოვი, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, ჯამარაული (მაჰავარიანი, 62), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე.

მსაჯები: ვან დერ ენდე, კოკი, მეცი (ყველა — ჰოლანდია).

გოლები: ტესტიმიცანუ — 5 (პენალტით), მიტერევი — 18, დ. ჯანაშია — 68, მიტერევი — 73, კულიბაბა — 81 (საკუთარ კარში).

გააფრთხილეს ოპრია, კლეშჩენკო, გაძევეს — ჩიხრაძე (მე-40 წუთზე).

ამ მატჩს მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა, თორემ საქართველოს გუნდი გამარჯვების შემთხვევაშიც ვერ წაიწევდა წინ სატურნირო ცხრილში.

აი, რევანშს კი ფეხბურთელებიც, ბუნებრივია, ლამობდნენ და გულშემატკივრებიც. მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, რევანში არ შედგა და მოლდოვას გუნდმა ჩვენს ფეხბურთელებს ჩემპიონატის მსვლელობაში ექვსი ქულა აართვა. გულდასაწყვეტი ფაქტია!

იმ დღეს კიშინიოვში ნისლიანი დღე იყო. ამის გამო მოლდავეთის ტელევიზიამ მატჩის ტრანსლიაცია ვერ მოახერხა. ასეთ პირობებში ვინ ვის დასდევდა, ვინ ვის აძლევდა პასს, ძნელი დასადგენი იყო. სხვათა შორის, მიტერევის მიერ მე-18 წუთზე გატანილი მეორე გოლიც სწორედ ამ კურიოზული სიტუაციის შედეგი გახლდათ: ჩვენმა მეკარემ ირაკლი ზოიძემ ბურთი მხოლოდ ბადეში გახვეული ნახა. მანამდე კი მასპინძლებმა თამაშის დასაწყისშივე პენალტი გაგვიტანეს. ამ მატჩში მასპინძლებისთვის მნიშვნელოვანი სტიმული იყო გამარჯვება, რითაც ისინი თავს აღწევდნენ უსიამოვნო ზონას სატურნირო ცხრილში და ხელსაყრელ პირობებში მეოთხე ადგილზეც გადიოდნენ. სხვათა შორის, ასეც მოხდა: ალბანეთისა და უელსის ფრემ (1-1) მოლდაველებს ნანატრი მეოთხე საფეხური მოუტანა.

მეორმოცე წუთი ჩვენთვის საბედისწერო გამოდგა — ჩიხრაძემ მეორე გაფრთხილება მიიღო (პირველი ყვითელი ბარათი მას 24-ე წუთზე აჩვენეს) და გუნდი ათი კაცის შემადგენლობით დარჩა. მეორე ტაიმში გამოიდარა. საქართველოს ფეხბურთელებმა მცირე ხნით ხელთ იგდეს ინიციატივა. მწვავედ შეუტიეს მეტოქის კარს, შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ რიცხობრივი დანაკლისი მოედნის ყოველ ნაწილში მაინც საგრძნობი იყო. მატჩის მიწურულს მასპინძლებმა კვლავ დაიბრუნეს ინიციატივა და ადრე მოპოვებული წარმატება ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

მარცხი, ცხადია, გულდასაწყვეტია, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს არაფერი სჭირთ სასაყვედურო: ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი ციკლი მათ ღირსეულად გაიარეს.

## დამთავრდა ევროპის ფეხბურთელთა 1996 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპი — შესარჩევი ტურნირები ჯგუფებში. 11, 12 და 15 ნოემბერს გაიმართა 22 მატჩი, რომელმაც საბოლოო სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილებში.

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-9 | 21 |
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 22-2 | 20 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-18 | 14 |
| პოლონეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-12 | 13 |
| ისრაელი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-13 | 12 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 1 | 9 | 2-29 | ·1 |

სლოვაკეთი — რუმინეთი 0-2
აზერბაიჯანი-პოლონეთი 0-0
საფრანგეთი — ისრაელი 2-0

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 24-4 | 26 |
| დანია | 10 | 6 | 3 | 1 | 19-9 | 21 |
| ბელგია | 10 | 4 | 3 | 3 | 17-13 | 15 |
| მაკედონია | 10 | 1 | 4 | 5 | 9-18 | 7 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 4 | 5 | 6-20 | 7 |
| სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |

ესპანეთი-მაკედონია 3-0
კვიპროსი — ბელგია 1-1
დანია — სომხეთი 3-1

### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| თურქეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-8 | 15 |
| შვედეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-10 | 9 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

უნგრეთი — ისლანდია 1-0
შვედეთი — თურქეთი 2-2

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 7 | 2 | 1 | 22-5 | 23 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 20-6 | 23 |
| ლიტვა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-12 | 16 |
| უკრაინა | 10 | 4 | 1 | 5 | 11-15 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 2 | 5 | 13-13 | 11 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

იტალია — უკრაინა 3-1
სლოვენია — ხორვატია 1-2
იტალია — ლიტვა 4-0

### V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 21-6 | 21 |
| ჰოლანდია | 10 | 6 | 2 | 2 | 23-5 | 20 |
| ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 17-7 | 20 |
| ბელარუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| ლუქსემბურგი | 10 | 3 | 1 | 6 | 3-21 | 10 |
| მალტა | 10 | 0 | 2 | 8 | 2-22 | 2 |

მალტა-ბელარუსი 0-2
ჩეხეთი— ლუქსემბურგი 3-0
ჰოლანდია — ნორვეგია 3-0

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 2 | 1 | 29-7 | 23 |
| ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 20-15 | 17 |
| ავსტრია | 10 | 5 | 1 | 4 | 29-14 | 16 |
| ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11-20 | 12 |
| ლიხტენშტეინი | 10 | 0 | 1 | 9 | 1-40 | 1 |

პორტუგალია — ირლანდია 3-0
ჩრდ. ირლანდია — ავსტრია 5-3

### VII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27-10 | 25 |
| ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-10 | 22 |
| საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14-13 | 15 |
| მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11-27 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-19 | 8 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 |

გერმანია — ბულგარეთი 3-1
მოლდოვა — საქართველო 3-2
ალბანეთი — უელსი 1-1

### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 34-5 | 26 |
| შოტლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 19-3 | 23 |
| საბერძნეთი | 10 | 6 | 0 | 4 | 23-9 | 18 |
| ფინეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 18-18 | 15 |
| ფარერის კ-ბი | 10 | 2 | 0 | 8 | 10-35 | 6 |
| სან-მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2-36 | 0 |

რუსეთი — ფინეთი 3-1
შოტლანდია — სან-მარინო 3-0
საბერძნეთი — ფარერის კ-ბი 5-0

იხ. მე-5 გვ.

## 1996 წელი, ინგლისი
## ევროპის ჩემპიონატის ფინალი

შესარჩევი ჯგუფებიდან ფინალის საგზურები უკვე მოიპოვეს: რუმინეთმა, ესპანეთმა, შვეიცარიამ, ხორვატიამ, ჩეხეთმა, პორტუგალიამ, გერმანიამ, რუსეთმა, საფრანგეთმა, დანიამ, თურქეთმა, იტალიამ, ბულგარეთმა, შოტლანდიამ.

მეთხუთმეტე მონაწილე — ინგლისი, როგორც მასპინძელი.

მეთექვსმეტე მონაწილე — გაირკვევა 13 დეკემბერს ლივერპულში, როცა ერთმანეთს შეხვდებიან: ჰოლანდია — ირლანდია.

ფინალური ტურნირის წილისყრა — 16 დეკემბერს.

## საქართველოს თასზე

ფეხბურთში ეროვნული თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩები ასე დამთავრდა:

„დინამო-2“ თბ — „ტორპედო“ 3-3 (1-4)

„დინამო“ ბთ — „მეტალურგი“ 2-0 (0-1)

„მარგვეთი“ — „დინამო“ ზგ 2-2 (4-4)

„სიონი“ — „შსს-აკადემია“ 2-1 (0-1)

გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ: „ტორპედო“, „დინამო“ ბთ., „მარგვეთი“, „შსს აკადემია“, კოლხეთი-1913“.

## მოკლედ...

### მილოცვა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, დამსახურებულ მწვრთნელს და პედაგოგს მიხეილ იმნაძეს.

### დაჯილდოება

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა მიხეილ იმნაძე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

## სამარანჩი შეხვდა მოჭადრაკეებს
### ფიდეს შტაბბინა ლოზანაშია

ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) შტაბბინამ ათენიდან ლოზანაში (შვეიცარია) გადაინაცვლა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) სიახლოვეს მოთავსდა. მისი გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ „ოდესმე ოცნება რეალობად იქცევა“ და მოჭადრაკეებიც ოლიმპიურ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. მანამდე კი, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ფიდემ მთელ რიგ სიძნელეებს უნდა გაართვას თავი.

დღემდე არ დამთავრებულა დისკუსია, ჭადრაკი სპორტის სახეობაა თუ არა. სხვადასხვა ქვეყანაში ამ საკითხს სხვადასხვაგვარად წყვეტენ, ამიტომ სამარანჩმა მოჭადრაკეებს ურჩია სოკს ოფიციალური მოხსენება წარუდგინონ და ნათლად განმარტონ „ჭადრაკის არსი“, უპასუხონ კითხვაზე „რატომ თვლით თქვენს საქმიანობას სპორტად?“ მეორე რჩევა, რომელიც სამარანჩმა მოჭადრაკეებს მისცა, ეს გახლავთ ფიდესა და, საერთოდ საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაციების ერთიანობის განმტკიცება. „მე მესმის, რომ ყველა თქვენგანი სხვადასხვაგვარად ფიქრობს. თქვენ განსხვავებული ადამიანები ხართ, მაგრამ ერთად უნდა იყოთ“. როგორც სოკის პრეზიდენტს, ფიდეს შტაბბინის ლოზანაში გადასვლა დადებით მოვლენად მიაჩნია, ვინაიდან აქვეა სოკისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებიც.

როგორც ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა აღნიშნა, „სწორედ სოკის პრეზიდენტმა ურჩია მას გადაეტანა შტაბბინა ლოზანაში, მსოფლიოს ოლიმპიურ დედაქალაქში“. ფიდე უკვე 1966 წელს ატლანტის თამაშების კულტურულ პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას. ანატოლი კარპოვის აზრით, ფიდეს სოკთან თანამშრომლობას დიდი პერსპექტივები აქვს: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჭადრაკს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანენ, ეს კი მისი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი სტიმული იქნება“.

— გახდება თუ არა ჭადრაკი სპორტის ოლიმპიური სახეობა? — თქვა გარი კასპაროვმა, — ძნელი სათქმელია, ვინაიდან თვით ჭადრაკი რთული პრობლემების წინაშე დგას. არადა, ნებისმიერი ეროვნული საჭადრაკო ფედერაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია ჭადრაკის გამოჩენა ოლიმპიურ თამაშებზე, თუნდაც საჩვენებელი სახით. ეს შესაძლებლობას აძლევს მცირე ქვეყნების ფედერაციებს რაღაც დახმარება მიიღონ, თორემ ჭადრაკი ხან სპორტის ფუნქციონირების განკარგულებაშია, ხან მას მეცნიერება ჰფარველობს, ხან კულტურის სამინისტრო და, როგორც წესი, ერთიან ყურადღებასაა მოკლებული. ამიტომ ახლა ცდილობენ გლობალური ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც ყველას აინტერესებს.

მოამზადა ბიჭი თორელმა.

## კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები გაძლიერდება

ბელარუსიდან შინ დაბრუნების შემდეგ ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა „ცხელ გულზე“ მოისურვა შეხვედრა ჟურნალისტებთან, მაგრამ თავად მოულოდნელად ავად გახდა, პრესკონფერენცია კი ნაკრების უფროსმა ჯამლეთ ხუხაშვილმა ჩაატარა. „მაკაბისა“ და ეროვნული ნაკრების ოფისში, რომელიც სპორტის სასახლეშია, ჟურნალისტებს უჩვენეს მატჩის ვიდეოჩანაწერი. თამაშის დასაწყისში ქართველი კალათბურთელები წინ გავიდნენ 11 ქულით, შემდეგ მასპინძლებმა უნარიანად შემოაბრუნეს მატჩი და საბოლოოდაც თავის სასარგებლოდ დაასრულეს — 102:76.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ საქართველოს ნაკრებში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა შესაძლებლობების სრული გამოვლენა მომავლის საქმეა. იმედს ისიც იძლევა, რომ „ვითას“ წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ ვმუშაობთ საქართველოში კალათბურთის განვითარების ახალ პროგრამაზე, რის შესახებაც დაწვრილებით ორი კვირის შემდეგ მოგახსენებთ“.

## ქულა დანიიდან — უბრძოლველად!

მოხდა უცნაური ამბავი. დანიაში ჩასულ მორაგბეთა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნდა გაემართა ადგილობრივ ნაკრებთან, მაგრამ... მასპინძელთა გუნდი საასპარეზოდ არ გამოცხადდა. მიზეზი ერთობ არალოგიკურია. ჩვენი გუნდის მეორე შესარჩევი მატჩი პოლანდიის ნაკრებთანაა გათვალისწინებული.

## რა ხდება ქვეყანაზე

**ორი** ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი ქალი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი და ვალერი ბრისკო-ხუკსი არჩეული არიან მძლეოსნური დიდების დარბაზის წევრებად. გრიფიტ-ჯოინერმა 1988 წელს სეულში სამი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა, ბრისკო-ხუკსმა კი ოთხი წლით ადრე ლოს-ანჯელესში მოიგო რბენა 200 და 400 მეტრზე.

**გერმანიის** ქალაქ შიფერშტადტში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ რუსეთისა და კუბის ათლეტები. გამარჯვება ამჯერად კუბელ მოჭიდავეებს ხვდათ — 21:17. ტურნირში გამოდიოდნენ აგრეთვე აშშ-ს, გერმანიისა და ყაზახეთის წარმომადგენლები.

**ფრედ ლიბო**, ნიუ-იორკის ცნობილი მარათონის დამფუძნებელი, რომელიც შარშან 9 ოქტომბერს გარდაიცვალა, დასახელებულია ლეგენდარული ეთიოპიელი სტაიერის, 1960 და 1964 წლების ოლიმპიურ მარათონში გამარჯვებული აბებე ბიკილას პრემიის ლაურეატად. დაჯილდოება მოხდა ნიუ-იორკის მორიგი მარათონის დაწყების წინ, საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ალბერტო სალიზარმა — ამ სუპერშეჯიბრების სამგზის გამარჯვებულმა და გრეტა ვაიტცმა, რომელსაც ცხრაჯერ აქვს მოგებული ნიუ-იორკის მარათონი.

**ცნობილი** ფრანგული საპარფიუმერიო ფირმამ „მემფისმა“ მოაწყო ახალი სუნამოს — „მარიას“ პრეზენტაცია. ეს სახელწოდება სუნამოს მიეკუთვნა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ბულგარელი მხატვრული ტანმოვარჯიშის მარია პეტროვას პატივსაცემად. ამ არომატულ პროდუქციას აწარმოებს საფრანგეთის ერთ-ერთი ფაბრიკა, მისი ჩამოსხმა კი ბულგარეთში ხდება.

**გერმანიაში** ახალი სადოპინგო სკანდალი მოხდა. ამჯერად აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს სამხტომელი ქალი ასტრიდ მანესი. სპორტსმენს ორგანიზმში კოფეინის ჭარბი რაოდენობა აღმოუჩინეს. განმეორებით ანალიზამდე მანესი დისკვალიფიცირებულია სამი თვით.

**ინგლისის** ყველაზე დიდი და კომფორტული სტადიონი ან ლონდონში ან მანჩესტერში აშენდება. დანარჩენი კანდიდატურები — ბრედფორდი, შეფილდი და ბირმინჰემი უარყო ბრიტანეთის სპორტულმა საბჭომ ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ სხდომაზე. მშენებლობისათვის საჭირო თანხას — 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს (157,6 მილიონი დოლარი) გაიღებს ეროვნული სპორტული ლატარიის ფონდი.

**ოლიმპიადის** ორგანიზატორთა სიაში ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ ინგლისის „მანჩესტერმა“, როგორც იქნა, მიიღო დიდი კომპლექსური სპორტული შეჯიბრების მოწყობის უფლება. ბერმუდის კუნძულებზე მიმდინარე თანამეგობრობის ფედერაციის წევრებმა დაამტკიცეს „მანჩესტერის“ კანდიდატურა 2002 წლის თამაშების ორგანიზატორად. აღნიშნულ თამაშებში (25 ივლისი — 4 აგვისტო) მონაწილეობას მიიღებს 60 ქვეყნის 4 ათასზე მეტი სპორტსმენი. საინტერესოა, რომ ეს ღონისძიება ემთხვევა ინგლისის დედოფლის ელისაბედ II კორონაციის ოქროს იუბილეს. თამაშები ბრიტანეთის კუნძულებზე არ ჩატარებულა 1934 წლიდან. მანჩესტერის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს უზრუნველყოს სამუშაოთი 40 ათასამდე ქალაქელი და მიიღოს მოგება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

**ნოემბრის** მიწურულს გუანჩჟოუში (ჩინეთი) მოეწყობა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ძალოსნობაში. რუსეთის ძალოსნობის ფედერაციამ გამოაცხადა თავისი ნაკრების შემადგენლობა. მასში შევიდნენ: ვ. მელიხოვი (59 კგ), ი. მიშკოვეცი (83 კგ), ა. პეტროვი და ი. ალექსეევი (ორივე — 90 კგ), ს. სივცოვი და ვ. რუბინი (ორივე — 99 კგ), ს. სიზიევი და ს. ფლერკო (ორივე — 108 კგ), ა. ჩემერკინი და ა. სკრიპკინი (ორივე — 108 კგ).

**რუსეთში** შეიქმნა პროფესიონალ ველოსიპედისტთა პირველი გუნდი „როსლოტო“, რომლის ლიდერთა შორის არიან: მსოფლიოს ექსჩემპიონი, იტალიელი მაურიციო ფონდრიესტი, 1994 წლის „ტურ დე ფრანსის“ მეორე პრიზიორი პიოტრ უგრიუმოვი და ფრანგი პასკალ ლინო. გუნდის წევრთა შორის ასახელებენ იტალიელებს ანდრე ფერიგატოს, ანდრე კიურატოს და მარიო მანცონის, აგრეთვე უკრაინელ ალექსანდრე გონგონჩენკოვს და სხვ.

**1996 წლის** სეზონში პროფესიონალ ველოსიპედისტთა კლუბის — „ონსეს“ მთავარი მიზანი „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებაა — განაცხადა გუნდის სპორტულმა დირექტორმა მანოლო საისმა. ამ მიზნის მისაღწევად მან შეიძლება გასწიროს ორი „გიგანტური სუპერშეჯიბრება“ — იტალიის „ჯირო“ და ესპანეთის „ვუელტა“. გუნდის მენეჯერის პაბლო ანტონის განცხადებით, ლიდერებისთვის — ფრანგი ლორან ჟალაბერისა და შვეიცარიელ ალექს ცულესთვის შედგენილია სპეციალური სავარჯიშო გრაფიკი, რომელიც გულისხმობს ათამდე საშუალო სიძლიერის საერთაშორისო რბოლას. „ონსეს“ შემადგენლობა 23 ველოსიპედისტითაა განსაზღვრული, მათ შორისაა რამდენიმე ახალბედა: შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი იუნიორებში მიქელე სარაბეტია და მიგელ მორასი.

**ამბობენ**, კარგმა სტაიერმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს თავისი თავი მარათონულ რბენაში, ოღონდ უკეთესია თუ ეს მოხდება ასაკში შესვლის შემდეგ, ასე ვთქვათ, კარიერის მიწურულს. როგორც ჩანს, ამ სიბრძნეს მიჰყვა მსოფლიოს ექსრეკორდსმენი 10.000 მეტრზე რბენაში, 34 წლის კენიელი იობს ონდიეკი. დებიუტი შედგება მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, იაპონიის ქალაქ ფუკუოკში.

**ჰონოლულუში** ერთთვიანი პატიმრობის შემდეგ განთავისუფლდა და ავსტრალიაში დაბრუნდა ამ ქვეყნის სპორტის ინსტიტუტის მწვრთნელი, რუსი გენადი ტურეცკი. იგი ავარჯიშებს ავსტრალიის მოცურავეთა ეროვნულ ნაკრებს და თავის პირად მოწაფეს, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს ალექსანდრე პოპოვს.

**ნიუ-იორკის** ცნობილი მარათონი ზედიზედ მეორედ მოიგეს: ვაჟებში — მექსიკელმა ჰერმან სილვამ (2:11.0). ქალებში — კენიელმა ტეკლა ლორუპემ (2:28.06). დუბლი ნიუ-იორკის მარათონის ისტორიაში აღინიშნა კიდევ ერთხელ, 1985 წელს. მაშინაც ზედიზედ ორჯერ მოიგეს შეჯიბრება ორლანდო პიცოლატომ და ლეგენდარულმა გრეტე ვაიტცმა.

**დამთავრდა** „ფორმულა -1-ის“ 46-ე გათამაშება. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ავტომობილიზმის ამ ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებაში, მეორედ მოიგო გერმანელმა მიჰაელ შუმახერმა. ბოლო, XVII ეტაპზე კი ყველას დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დემონ ჰილმა აჯობა.

**გაიმართა** ველოსიპედისტთა სუპერმარათონული რბოლის — „ჯირო დ' იტალიას“ პრეზენტაცია, რომელზეც გაირკვა, რომ 79-ე შეჯიბრების სტარტი, ამ რბოლის ისტორიაში პირველად მოეწყობა უცხოეთში, კერძოდ, ათენში. მაშ ასე, გაისად, 18 დან 21 მაისამდე ტურის მონაწილენი საბერძნეთის გზებზე იასპარეზებენ და ამით აღნიშნავენ თანამედროვე ოლიმპიადების 100 წლისთავს, რომელსაც გაისად იზეიმებენ მთელს მსოფლიოში. მომავალი წლის „ჯირო“ 22 ეტაპს მოიცავს, სიგრძე იქნება 3951 კილომეტრი. დაყოფილ სტარტს მხოლოდ 1 ეტაპი დაეთმობა (6 ივნისს, 60 კმ), სამაგიეროდ, ოთხი ეტაპის ფინიში მთებში მოეწყობა.

რა ხდება ქვეყანაზე

რა ხდება ქვეყანაზე

სპორტი და ბიზნესი

# აფრიკული მელოდიები თანამედროვე სპორტში

**ჯულიუს კარიუკი ზანტად დაეშვა ტაქსის უკანა საჯდომზე და მძღოლს სასტუმრო „ამბასადორში“ მიყვანა უბრძანა. მერე იქვე, მანქანაში გამოიცვალა სარბენი ფეხსაცმელები და „ადიდასის“ მაისური ჩაიცვა. სარეკლამო შოუს გადაღებამდე საათზე მეტი დრო იყო დარჩენილი. 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი ამ კინოლენტის მთავარი გმირი იყო...**

სარეკლამო შოუში მონაწილეობა კენიელი პროფესიონალებისათვის ცხოვრების ყოველდღიური ნორმა გახდა. რივერსაიდის (კალიფორნიის შტატი) უნივერსიტეტის საპატიო სტიპენდიანტი გულმოდგინედ ასრულებს ყველაფერს, რასაც სპონსორები მოითხოვენ. სპონსორებს კი სპორტსმენისაგან, მოგეხსენებათ, რეკლამა სჭირდებათ, რეკლამა და სხვა არაფერი.



კენიელ მძლეოსნებზე „ნადირობის“ კარგი გამოცდილება აქვს „ადიდასის“ კონკურენტს „ასიკსაც“. მათ უკვე დიდი ხანია დაიბევეს დუგლას ვაკიხური, რომელმაც ტოკიოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ მეტნაკლებად ისწავლა იაპონური ენა და საკმაოდ შეეჩვია მისთვის ახალ მენტალიტეტს. 1987 წელს ვაკიხური მსოფლიოს ჩემპიონი გახდა მარათონში და მას შემდეგ კენიელ მორბენალს მოსვენება არა აქვს სპონსორებისაგან. ვაკიხური კიკუიუს ტომის წარმომადგენელია, რომელიც უმთავრესად კენიის მთიან რაიონში ბინადრობს.

აფრიკელი ათლეტების ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს სტადიონებზე გრძელდება და მათ წარმატებებს ერთ დროს ამ მიტოვებული კონტინენტის მკვიდრთათვის არცთუ ურიგო დივიდენდები მოაქვს. ამ ხალხის გამორჩეულმა ნიჭმა სპონსორთა და შეჯიბრებების ორგანიზატორთა ფინანსებთან კავშირში ძირეულად შეცვალა მძლეოსნობის სამყარო. ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მძლეოსნობაში ძალთა შეფარდების სასწორმა აფრიკისაკენ გადაიხარა. არადა, ყველაფერი დაიწყო 1960 წელს რომში, XVII ოლიმპიადის დღეებში, როცა ფეხშიშველა აბებე ბიკილამ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში — მარათონულ რბენაში.

დღეს წინა პლანზე გამოსული არიან შავი კონტინენტის მძლეოსანთა ახალი თაობის წარმომადგენლები. როდესაც კენიელი რიჩარდ ჩელიმო 19 წლისა იყო, ამბობდა: „ჩემი თაობა თაყვანს სცემდა მაიკ ბიოტსა და კიპჩონგ კენიოს, რომლებიც თავიანთი ტრიუმფის შემდეგ ეროვნული გმირები და მთელს აფრიკაში თითით საჩვენებელი ხალხი გახდა“.

ბოლო დროს კენიელი ახალგაზრდები სულ უფრო ხშირად აღწევენ თავს სიღარიბეს სპორტის წყალობით. ეს გარემოება იწვევს ყმაწვილების სწრაფვას მძლეოსნობისაკენ. ისინი მიდიან თავიანთი კერპების ნაკვალევზე და იმკვიდრებენ ადგილს ცხოვრებაში. ასე მაგალითად, ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში წარმატების შემდეგ 30 წლის შინდაბრუნებულმა კარიუკიმ ხელი მიჰყო ბიზნესმენობას და იქაც წარმატებას მიაღწია. კენიაში იგი რამდენიმე მრავალსართულიან სახლს ფლობს. მისმა თანამემამულე ვაკიხურამაც რამდენიმე შენობა შეიძინა ნაირობიში.

იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონზე 800 მეტრზე რბენაში ბილ კონჩელახზე, რომლის პოპულარობას ჟურნალისტები იტალიაში ფეხბურთის ვარსკვლავთა პოპულარობას ადრიან. ლოს-ანჯელესელი სტუდენტი მშობლიურ კენიაში მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოდიოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბალახი და ძროხის რძე — მისი ტომის ძირითადი საკვები პროდუქტი, ალერგიას იწვევს მასში. მაგრამ კენიელებს ახსოვთ, რომ კონჩელახი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის შვილიშვილია, რომელმაც გამდიდრებისთანავე თავის დედას ვეებერთელა, მდიდრულად მოწყობილი ქვის სახლი აუშენა. გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის მთავარი კონსულტანტის მანფრედ შტაინბახის აზრით, „აფრიკელ სპორტსმენთა მთავარი მამოძრავებელი ძალა სოციალური კეთილდღეობისადმი ლტოლვაა და ამ ძალას ვერაფერი შეუშლის ხელს, ვერაფერი დათრგუნავს, მით უმეტეს, ახლა, როცა ახალგაზრდებმა ცხოვრებას გემო გაუგეს“.

დღეს კენიაში პრაქტიკულად ყველა ნიჭიერ მორბენალს (განსაკუთრებით იმათ, ვისი პროფესია საშუალო და გრძელი მანძილებია) აქვს საშუალება უზრუნველად იცხოვროს სპორტის ხარჯზე. არმია, რკინიგზისა და საფოსტო უწყებები მათ ცხოვრებისთვის იდეალურ პირობებს უქმნიან. სპონსორობას ამ ქვეყანაში ხალისით კისრულობენ, ასევე, ფირმები და ბანკები.

არის კიდევ ერთი ნიუანსი. ამერიკული უნივერსიტეტები, რომლებიც ბოლო დროს კვალიფიციურ მძლეოსანთა კადრების მწვავე დეფიციტს განიცდიან, სულ უფრო ხშირად იწვევენ სპორტსმენებს აფრიკიდან. აშშ-ს უნივერსიტეტები, მაგალითად, 100-ზე მეტ კენიელ სტუდენტებს უხდიან სტიპენდიას. სწორედ ეს გარემოება იწვევს ამერიკელ სპეციალისტთა განგაშს, რომელიც ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდმა“ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ჩვენი ბაზა ინგრევა. კარლ ლუისის, გრეგ ფოსტერის და ჯეკი ჯოინერ-კერსის ტრიუმფის პერიოდი ისტორიას ჩაბარდა და, ცხადია, ველარ მოახდენენ გავლენას დღევანდელ რეალობაზე, რომელიც ასე შეიძლება დავხატოთ: მძლეოსნობა აშშ-ში კლინიკური სიკვდილის მდგომარეობას უახლოვდება“.

**სურათზე:** კენიის ეროვნული გმირი, მსოფლიოს ექსჩემპიონი 800 მეტრზე რბენაში ბილი კონჩელახი.



## ერთიდაიგივე სახელები

თბილისის შემოგარენში ქალაქის ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში, ფედერაციის პრიზზე, პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს ორი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. ასპარეზობის ნორმალურად ჩატარებას ხელი შეუწყო სააქციო საზოგადოება 11X11-ის (პრეზიდენტი ვ. კვარაცხელია) დახმარებამ. გამარჯვებულთათვის და პრიზიორებისათვის ფულადი პრემიები სწორედ ამ საზოგადოებამ და ველოფედერაციამ გამოყვეს.

მოასპარეზეებს კარგი ამინდი დაესწროთ და, ამანაც, გარკვეულწილად განაპირობა შეჯიბრებისადმი ინტერესი. ოღონდ ესაა: ორივე ასაკში პრიზიორთა შორის ერთი და იგივე გვარები გვხვდებოდა. ასე, მაგალითად, მოზრდილთა შეჯიბრებაში „შევარდენის“ გუნდის წევრმა კობა აბაიშვილმა ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი დაიკავა. იგივე შეიძლება ითქვას „მართვეს“ გუნდის წევრებზე ალექსანდრე ცხოვრებაძესა და თედო ბოსიკაშვილზე. ცხოვრებაძე ერთხელ პირველი იყო, ერთხელ — მეორე და ერთხელაც მესამე, თედო ბოსიკაშვილმა კი პირველი და მესამე ადგილები დაისაკუთრა.

ასე იყო უმცროს ასაკშიც: გიორგი მგელაძეს („მართვე“) ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი ხვდა, სერგო გოგიაშვილს („მართვე“) პირველი და მესამე, ხოლო „შევარდენის“ წარმომადგენელი გია ბულბულოვი სამჯერ მეორე იყო.

პირველ დღეს ჯგუფური რბოლის მონაწილენი თბილისი-კოჯრის ტრასაზე ასპარეზობდნენ, მეორე დღეს თბილისი-ყინვალის, მესამე დღეს კი თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებით.

**ავთანდილ გუნია**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ახალ წესებს ითხოვენ

ჩრდილოეთის ქვეყნების ჭიდაობის ფედერაცია, რომელშიც შვედეთის, ნორვეგიის, დანიისა და ფინეთის ათლეტები ირიცხებიან, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ჭიდაობის ახალ წესებს გვთავაზობენ.

მათი აზრით, ტურნირებზე უნდა შემოიღონ გამოვარდნის სისტემა (წააგე — დაამთავრებ გამოსვლას), არავითარი დამამშვიდებელი წრე. ჩრდილოელებს მიაჩნიათ აგრეთვე, რომ ათიდან რვამდე უნდა შემცირდეს წონითი კატეგორიები.

თუ შეხვედრის გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამბობენ ისინი, პირველ შედეგიან ილეთამდე უნდა გაგრძელდეს ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული კრივის სამყარო

# მერვე რაუნდი, ორმოცდამეთვრამეტე წამი...

## ბოუ-ჰოლიფილდის მატჩზე, უფრო დაწვრილებით

**როგორც ვიუწყებოდით, ლას-ვეგასში, „ცეზარ პალასის“ ღია არენაზე შედგა თანამედროვეობის ორი უძლიერესი პროფესიონალი მოკრივის, რიდიკ ბოუსა და ევანდერ ჰოლიფილდის სარეიტინგო შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის (მძიმე წონაში) ბოუს გამარჯვებით.**

ახლა უფრო დეტალურად შეგვიძლია მოგითხროთ ამ ბრძოლაზე, რომელსაც თვალყურს ადევნებდა 12 ათასი კრივის მოყვარული უშუალოდ არენაზე და მილიონობით ტელემაყურებელი სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში და ავსტრალიაში.

**პირველი რაუნდი.** 43-ე წამზე ევანდერ ჰოლიფილდი უძლიერესად ურტყავს მარჯვენით და რაუნდის ბოლომდე ინიციატივას ფლობს. ბოუ აშკარად დაბნეულია. ასეთ დასაწყისს არც მსოფლიო ჩემპიონი მოელოდა და არც მისი ნიჭის უამრავი თაყვანისმცემელი.

**მეორე რაუნდი.** ბოუ ცდილობს ინიციატივის დაუფლებას. ამისათვის კი საჭიროა მეტი აქტიურობა. იგი გამუდმებით უტევს და რაუნდს თავის სასარგებლოდ ამთავრებს.

**მესამე რაუნდი.** ინიციატივა ხან ერთი, ხან მეორე მოკრივის მხარესაა. არც ერთი მხარე არ აპირებს დათმობას. ძლიერი დარტყმები ენაცვლება ერთმანეთს. გონგამდე 10 წამით ადრე, ბოუს მარცხენა ჰუკი აღწევს მიზანს, მაგრამ რაუნდი მაინც თანაბარი ბრძოლით აღინიშნა.

**მეოთხე რაუნდი.** არსებითი არაფერი მომხდარა. შთაბეჭდილება რჩება თითქოს მოკრივეებმა ეს-ეს არის დაიწყეს ბრძოლა და ჯერ დაზვერვით არიან დაკავებულნი.

**მეხუთე რაუნდი.** ნელ-ნელა იკვეთება ბოუს უპირატესობა. ჰოლიფილდი რამდენჯერმე რინგის კუთხეში აღმოჩნდა მომწყვდეული, მაგრამ სამჯერ თუ ოთხჯერ მოახერხა კრიტიკული მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლა. თუმცა ცხადი ხდება, რომ ასეთი ტაქტიკით გამარჯვების მიღწევა ბოუსთან ძნელი იქნება. ჰოლიფილდს დაუსივდა მარცხენა წარბი. რაუნდის ბოლოს სისხლიც წასკდა პირიდან. საჭირო გახდა ექიმის ჩარევა, მაგრამ ეს უკანასკნელი სერიოზულ დაზიანებას არ აფიქსირებს.

**მეექვსე რაუნდი.** შესვენების დროს რა მოხდა, კაცმა არ იცის, მაგრამ რაუნდი ჰოლიფილდმა ენერგიული შეტევებით დაიწყო. მართალი იყვნენ ისინი, ვინც ამტკიცებდა. რომ ჰოლიფილდი ბრწყინვალე მებრძოლია და შეხვედრას ასე იოლად არ დათმობსო. 23-ე წამზე ექსჩემპიონმა წამოიწყო შეტევა, რომელიც დააგვირგვინა მარჯვენა დარტყმით. ბოუ ცხოვრებაში პირველად აღმოჩნდა ნოკდაუნში. წამოდგა ხუთ დათვლაზე. ჰოლიფილდს შეეძლო ბრძოლის დამთავრება ამ რაუნდში, მაგრამ ბოლო მომენტში იერიში შეანელა. მატჩის შემდეგ მან განაცხადა: „აი სწორედ ამ მომენტში ვიგრძენი აუტანელი დაღლილობა“. წამიერი შესვენება ბოუსთვის ხსნა იყო, დაუჯერებელი საჩუქარი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი მის სასარგებლოდ.

**მეშვიდე რაუნდი.** ჰოლიფილდი უფრო მძიმედ მოძრაობს, დარტყმებმაც დაკარგა ძალა. ბოუმ ეს რაუნდი მთლიანად ნოკდაუნის შემდეგ გონს მოსვლას, ძალთა მობილიზირებას მოანდომა. ჰოლიფილდის შეცდომა ის იყო, რომ მეტოქეს ამის საშუალება მისცა, თუმცა... მეტი გზა მას არც ჰქონდა.

**მერვე რაუნდი.** ბოუმ მთლიანად აღიდგინა ძალები და მწვავე შეტევა წამოიწყო. უძლიერესი მარჯვენა დარტყმის შემდეგ ახლა უკვე ჰოლიფილდი აღმოჩნდა ნოკდაუნში. იგი ძლივს წამოდგა ცხრა დათვლაზე. მაგრამ იმავ წამს მიიღო ახალი დარტყმა მარჯვენით. მერვე რაუნდის 58-ე წამზე რეფერი ჯო კორტესი აფიქსირებს მეორე ნოკდაუნს, სწყვეტს ბრძოლას და გამარჯვებულად აცხადებს რიდიკ ბოუს (ტექნიკური ნოკაუტით).



**რიდიკ ბოუ და მისი ცხოვრების მთავარი მიზანი — მსოფლიო ჩემპიონის (ვბო-ს ვერსიით) ოქროს ქამარი. მას გვერდს უმშვენებს 84 წლის მენეჯერი ედი ფატჩი.**

ბოუმ მოიგო 38-ე ბრძოლა პროფესიულ რინგზე. ერთადერთი დამარცხება მას, სხვათა შორის, ჰოლიფილდმა მიაყენა 1993 წლის 4 ნოემბერს. ახლანდელი ორთაბრძოლის შემდეგ მეტოქეთა შორის ანგარიში გახდა 2:1 ბოუს სასარგებლოდ. ჰოლიფილდმა თავის სპორტულ კარიერაში პროფესიულ რინგზე 31 ბრძოლა მოიგო და სამჯერ დამარცხდა (ერთი, სწორედ ეს ბოლო შეხვედრა მან ნოკაუტით დათმო).

ბოუ ამ წარმატებით, ცხადია, არ დაკმაყოფილდება. მას დიდი სურვილი აქვს შეხვდეს მაიკ ტაისონს. თუმცა, არც ლენოქს ლუისთან ბრძოლაა გამორიცხული. ჰოლიფილდის გეგმები უფრო ბუნდოვანია. ჯერ უნდა დადგინდეს რამდენად ჯანმრთელია იგი და შესძლებს თუ არა საერთოდ რინგზე გამოსვლას.

არც ჰოლიფილდი და არც ბოუ რინგზე ინტენსიური გამოსვლებით არ გამოირჩევიან. ისინი დიდხანს არჩევენ მეტოქეებს, ათასგვარ პრეტენზიებს უყენებენ ორგანიზატორებს, ხშირად არღვევენ პირობას, რის გამოც პროფესიული კრივის სამყაროში ჰირვეულ პარტნიორებად იწოდებიან. აი, როგორია მათი ბოლო წლების გამოსვლათა ნუსხა.

**1992 წ. 13 ნოემბერი.** ჰოლიფილდი დამარცხდა ქულებით ბოუსთან და წააგო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული (პირველობა დათმო სამი ვერსიით — ვბს, იბფ, ვბა-სი).

**1993 წ. 4 ნოემბერი.** ჰოლიფილდი ამარცხებს ბოუს და იღებს რევანშს.

**1994 წ. 22 აპრილი.** ჰოლიფილდი მარცხდება მაიკლ მურერთან. როგორც მერე ირკვევა, გულის მწვავე დაავადება ჰქონია. ექიმების განკარგულებით ავადმყოფი ერთი წლით იზოლირებულია.

**1994 წ. 3 დეკემბერი.** ბოუ მეექვსე რაუნდში ნოკაუტით ამარცხებს ლერი დონალდს.

**1995 წ. 11 მარტი.** ბოუ, ასევე მეექვსე რაუნდში, უგებს ჰერბი ჰაიდს.

**1995 წ. 20 მაისი.** ჰოლიფილდი ისევ რინგზეა. შეხვედრა რეი მერსერთან მთავრდება მისი გამარჯვებით — მეათე რაუნდში.

**1995 წ. 17 ივნისი.** ბოუ-ხორხე ლუისი. ნოკაუტი უკვე ტრადიციად ქცეულ მეექვსე რაუნდში.

მიუხედავად იმისა, რომ რიდიკ ბოუს, დღესდღეობით პროფესიული კრივის ყველა სპეციალისტი მსოფლიოში უძლიერეს მოკრივედ მიიჩნევს, იგი მეორეხარისხოვანი ვერსიით (ვბო) ითვლება ჩემპიონად. იმის გამო, რომ ჰოლიფილდი არ ცნობს ამ ვერსიას, მისი ბრძოლა ბოუსთან არ იყო სატიტულო. ამიტომაც, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ლეგენდარულმა ფლოიდ პატერსონმა (იგი ნიუ-იორკის შტატის სპორტული კომისიის უფროსია) წამოაყენა წინადადება, რომ ბოუ-ჰოლიფილდის ორთაბრძოლაში გამარჯვებული... შტატის ჩემპიონად გამოცხადდეს.

და კიდევ ერთი დეტალი. ჰოლიფილდმა, დამარცხების მიუხედავად, ამ მატჩში მონაწილეობისთვის მიიღო 9 მილიონი დოლარი. ბოუს ერგო 7 მილიონი და მოგების ნაწილი, რომელსაც მოიტანს ტელეტრანსლაცია საკაბელო ტელევიზიით.

# არჩი მური — მოკრივე ლეგენდა

**82 წელს გადაცილებული არჩი მური — პროფესიული კრივის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ცნობილი იყო იმითაც, რომ 48 წლის ასაკში ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის ქამარს ქვემძიმე წონაში, თანაც წარმატებით ებრძოდა მძიმე წონის მოკრივეებსაც.**

არჩი მურის სპორტული კარიერა დაიწყო 1936 წელს, როცა პროფესიული რინგი დატოვეს მაქს ბერმა და ჯიმი ბრედოკმა და ის-ის იყო დაიწყო ამოსვლა ჯო ლუისის ბედნიერმა ვარსკლავმა. უკანასკნელი ბრძოლა არჩი მურმა კი 1963 წელს გამართა. ამ ხნის განმავლობაში მან მოიპოვა 193 გამარჯვება, მათ შორის 140 — ნოკაუტით, 26 შეხვედრა დათმო, ერთხელ არ გამოუცხადდა მეტოქე და რვა ბრძოლამ მისი მონაწილეობით ვერ გამოავლინა უძლიერესი.



არჩი მური თავისი კარიერის ზენიტში. უძლიერესი დარტყმით იგებს შეხვედრას ივონ დურელთან.

„მოკრივეს წლები კი არ აბერებს, არამედ მიღებული დარტყმების რაოდენობა, მე, მაგალითად, იშვიათად „გამიშვია“ პირდაპირი დარტყმა, ვინაიდან ბავშვობაშივე შევეჩვიე ბებიაჩემის უძლიერესი ალიყურის აცილებას. საერთოდ კი, ზანგი მოკრივეები სხვებზე უკეთ იცილებენ დარტყმებს. მახსოვს, 7 წლის ვიყავი, როცა ბებიამ მწარედ გამლახა ქუჩაში ჩხუბისთვის. იმ დღის მოგონება მთელი ცხოვრების მანძილზე ჩამრჩა მეხსიერებაში“...

რინგიდან წასვლის შემდეგ არჩი მური გულხელდაკრეფილი არ მჯდარა მშობლიურ სან-დიეგოში. მას იღებდნენ სხვადასხვა ფილმში, ავარჯიშებდა ახალგაზრდებს. მუშაობდა კონსულტანტად. არჩი მური ასწავლიდა კრივის ხელოვნებას კასიუს კლეის (მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იყო მოჰამედ ალი). მერე დაუშვა დიდი შეცდომა, როცა თავისი მოწაფის წინააღმდეგ წარსდგა რინგზე და სასტიკადაც დამარცხდა. მოგვიანებით იგი ეხმარებოდა რინგზე ხელახლად დაბრუნებულ ჯორჯ ფორმენს.

არჩი მური მსოფლიოს ჩემპიონი გახდა (ქვემძიმე წონაში) 1952 წლის 17 დეკემბერს, როცა სენტ-ლუისის რინგზე უმძაფრეს 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით აჯობა ჯო მაქსიმს. ამის შემდეგ არაერთხელ დაიცვა წარმატებით ტიტული. განსაკუთრებით დაძაბული იყო მისი ხელახალი შეხვედრა ჯო მაქსიმთან, აგრეთვე ჰაროლდ ჯონსონთან და ბობო ოლსონთან. მური დიდ პატივს სცემდა ამ მოკრივეებს, აფასებდა მათ მაღალ ოსტატობას და სწორედ ამ სამ გამარჯვებას მიიჩნევს თავისი წარმატებების გვირგვინად.

1955 წლის 21 სექტემბერს არჩი მური აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში შეხვდა იმჟამინდელ მსოფლიოს ჩემპიონს, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მძიმეწონოსანს როკი მარჩიანოს. არჩი მური ასე იგონებს ამ შეხვედრას: „მე უნდა მომეგო ეს ბრძოლა. პირველ რაუნდში როკი ნოკდაუნში იყო. იგი ფეხზე წამოდგა და გონგმაც დარეკა. ღმერთმა უშველა მარჩიანოს, ვინაიდან მან მოიგო დრო და გამოვიდა კრიტიკული მომენტიდან“. მსოფლიო ჩემპიონმა ეს ბრძოლა მაინც მოიგო მეცხრე რაუნდში და შეინარჩუნა ტიტული.

ერთი წლის შემდეგ, 30 ოქტომბერს არჩი მური ფლოიდ პატერსონს შეხვდა და ისევ დამარცხდა ნოკაუტით მეხუთე რაუნდში. ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობა არჩი მურს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა და ამიტომაც ცდიდა ძალებს დროგამოშვებით მძიმე წონაში. 1962 წლის თებერვალში მან საბედისწერო ნაბიჯი გადადგა იმით, რომ კასიუს კლეის შეებრძოლა. საბედისწერო იყო ეს ნაბიჯი 49 წლის მოკრივისათვის, რომელიც, ბუნებრივია, დამარცხდა კიდეც მეოთხე რაუნდში.

ამის შემდეგ იგი დიდხანს აღარ დარჩენილა რინგზე. თავისი 27-წლიანი სპორტული კარიერის ბოლო ბრძოლა მურმა მაიკ დიბუზოსთან გამართა, დამაჯერებლად მოიგო იგი და სამუდამოდ დატოვა რინგი.

# მოუსვენარი ლენოქს ლუისი

**ქალაქ** ჩიანგმაიში, რომელიც 600 კილომეტრითაა დაშორებული ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკს, ჩატარდა კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბს) 32-ე ყოველთვიური შეკრება, რომელშიც მონაწილეობდა 300 დელეგატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. შეკრების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო მოკრივის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გზებისა და საშუალებების ძიება. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, წინადადება. ვბს-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ყველა გონივრულ ვარიანტს. როგორც გამოირკვა, უსაფრთხოების თავისი მეთოდი ჰქონია შემუშავებული ვბს-ს სამედიცინო კომისიას, რომელსაც მოკლე ხანში წარუდგენს საზოგადოებრიობას.

ერთ-ერთი პიკანტური საკითხი გახლდათ მსოფლიო ჩემპიონის, ფრენკ ბრუნოს მომავალი მეტოქის ვინაობის დადგენა.. ამ უფლებისთვის, როგორც ცნობილია, იბრძვიან ლენოქს ლუისი და მაიკ ტაისონი. ლუისმა სასამართლოში შეიტანა საჩივარი, სადაც ამტკიცებს, რომ ეს უფლება ეკუთვნის სწორედ მას და სხვას არავის. ამასთან დაკავშირებით შემთანხმებლური კომისიის თავმჯდომარემ ჩაკ უილიამსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველაფერი გაირკვევა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგო.

ამასობაში კი... საკმაოდ ხანგრძლივი და გულმოდგინე განხილვის შემდეგ, ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ უარყო ლუისის სარჩელი. მისი აზრით, ფრენკ ბრუნოს მომავალი მეტოქის ვინაობა უნდა გაარკვიოს ვბს-ს სააპელაციო კომისიამ.

მაგრამ ლუისი ჯიუტი მომჩივანი გამოდგა. ბრიტანეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით განაწყენებულმა მოკრივემ, საქმე გადაიტანა აშშ-ში. ახლა მისი საჩივარი მაგიდაზე უდევს ნიუ-ჯერსის საოლქო მოსამართლეს, რომელმაც საქმის გარჩევა 28 ნოემბრისთვის დანიშნა.

ექნება თუ არა ამ გადაწყვეტილებას რაიმე წონა, კაცმა არ იცის. ცნობილია მხოლოდ, რომ ვბს-ს სააპელაციო კომისიამ თავისი განაჩენი უკვე გამოიტანა. მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს მძიმე წონაში, ფრენკ ბრუნოს შეხვდება მაიკ ტაისონი. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ბრუნოს მენეჯერმა ფრენკ უორენმა თქვა, რომ ტაისონ-ბრუნოს მატჩი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ მომავალი წლის მარტს, უსათუოდ ლას-ვეგასშიო.

## მოკლედ...

**კეიპტაუნში** სამხრეთაფრიკელმა ფილიპ ჰოლიდეიმ, რომელიც მეორე წელია ატარებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს იბფ-ს ვერსიით 61,2 კგ წონაში, შეხვდა ამერიკელ რაიმონდო მარტინესს, დაამარცხა იგი ქულებით და შეინარჩუნა ჩემპიონის ქამარი.

**მსოფლიო** ჩემპიონმა ვბო-ს ვერსიით 57,2 კგ-ში ინგლისელმა ნესეემ ჰამიდმა (მეტსახელად „პრინცმა“) უარი თქვა თავისი ტიტულის დაცვაზე მექსიკელ არნულფო კასტილიოსთან, რომელიც 9 დეკემბერს უნდა შემდგარიყო. მიზეზი აღმოჩნდა მარტივი: ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მსოფლიო ჩემპიონმა დაიზიანა მარჯვენა ხელი. მედიკოსთა აზრით, ვარჯიშის განახლებას მოკრივე შეძლებს მხოლოდ 3 თვის შემდეგ.

# ამერიკული ფეხბურთი — სპორტი თუ ჩვევა?

**ამერიკულ ფეხბურთზე ევროპაში ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ კარგად არავინ იცის რას წარმოადგენს იგი (საუბარი, რა თქმა უნდა, არაა წესებზე), რაში მდგომარეობს მისი არსი და პეწი.**

ამერიკული ფეხბურთის ასოციაციას, რომელიც შტატებში ერთ-ერთ უძლიერეს სპორტულ ორგანიზაციად ითვლება, შემოკლებით ნფლ-ს უწოდებენ. აი, ამ ნფლ-ს (უმაღლესი ლიგა ამერიკული პროფესიული ფეხბურთისა) ჩემპიონატში რეგულარულად 28 გუნდი მონაწილეობს... ყოველი გუნდის შემადგენლობაში 35 სპორტსმენია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. თვითონ ამერიკაში ფეხბურთს რჩეულთა სპორტს უწოდებენ და არც ეს განმარტებაა გაზვიადებული.

საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე უნდა იყოს მრავალმხრივი პროფესიონალი: კარგი სპრინტერი, მხტომელი, მტყორცნელი, აკრობატი და რაც აუცილებელია, ფიზიკურად ძლიერი. ყველა ამ დისციპლინას იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის დონეზე უნდა ფლობდეს. ახლა წარმოიდგინეთ ასეთი თვისებების მქონე სპორტსმენებით 28 გუნდის დაკომპლექტება რას უნდა ნიშნავდეს? სად გინდა მოძებნო ასეთი ხალხი და ამ რაოდენობით? მაგრამ ადრე თუ გვიან ამას, როგორც ეტყობა, ახერხებენ, ვინაიდან, ნფლ წლების მანძილზე ფუნქციონირებს და, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთ-ერთი აყვავებული სპორტული ორგანიზაციაა.

ევროპულ ფეხბურთში კონფლიქტური სიტუაციები ხშირად ხდება. საფიქრებელია, რომ ამერიკულში ასეთი სიტუაციები უფრო მოჭარბებულად იქნებოდა, იმიტომ, რომ ამერიკულში წესებით ნებადართულია მეტოქის ჩავლება ფეხებში, ყელში, სარმები და მოგვერდებიც ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, ნურას უკაცრავად! ყველაზე ჭირვეული შემფასებელიც კი სეზონის განმავლობაში ერთ უხეშობას, წესრიგის ერთ დარღვევასაც ვერ დააფიქსირებს ვერც მოთამაშეების მხრივ და ვერც მაყურებლებში. არადა, ყოველ მატჩს დაახლოებით 50-70 ათასი კაცი ესწრება.

მაყურებელი? იგი ამერიკული ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. ყოველ ტურში ეწყობა 13-14 მატჩი. ტრადიციებს აქ პატივს სცემენ: ყველა შეხვედრა კვირა დღეს ტარდება, და მხოლოდ ერთი — ორშაბათს. სტადიონამდე გზა და უკან მანქანიან მაყურებელს დაახლოებით 2 საათს ართმევს. თვითონ თამაში სამ ან სამსაათნახევარს გრძელდება. ესე იგი, ფეხბურთი ამერიკულ გულშემატკივარს, ფაქტობრივად, მთელ კვირადღეს ართმევს.

მატჩზე დასწრება ამერიკაში ოჯახური საქმეა. ხალხი სტადიონზე მატჩის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მიდის. მანქანებს, ბუნებრივია, სპეციალურ სადგომებზე აყენებენ. იქ თავისუფლად შეიძლება 15 ათასი მანქანის განთავსება. ქალებს საბარგულიდან ამოაქვთ ტაფები, დანა-ჩანგლები, სხვა გასტრონომიული და საჭმლის დასამზადებელი „ინვენტარი“. სანამ მზადდება სურნელოვანი კერძები, მამაკაცები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ბურთაობენ. მერე მთელი ოჯახი ადგილს იკავებს ტრიბუნებზე.

ამერიკული ფეხბურთით დაინტერესებულმა კაცმა უსათუოდ უნდა იცოდეს რას წარმოადგენს მაყურებელი. ესაა ქალები და ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდები და, ბუნებრივია, მამაკაცები, რომლებიც არავითარი „პრივილეგიებით“ არ სარგებლობენ. ქალებისა და ბავშვების ყოფნა სტადიონზე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მაყურებლის ქცევას ტრიბუნებზე. ქალების, ბავშვებისა და მოხუცების თანდასწრებით ლანძღვა-გინებასა და აყალმაყალს მამაკაცები ერიდებიან. ასე რომ, მეოჯახე კაცს ხალისით მოჰყავს თავისიანები სტადიონზე.

ახლა დასაჯდომ ადგილებს არ იკითხავთ? თითო მაყურებლისთვის — თითო სავარძელი. რიგებს შორის ადგილი იმხელაა, რომ თავისუფლად შეიძლება ფეხების გამართვა. ტრიბუნების დაცლა პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან უამრავი გასასვლელია. თუ ზედა იარუსებზე მსხდომს სადმე ეჩქარება, შეუძლია ლიფტით ისარგებლოს. სტადიონზე ასამდე ლიფტი მუშაობს. როგორ შეიძლება ასეთ სიტუაციაში კაცმა ჩხუბი და აურ-ზაური ისურვოს? უბრალოდ, ამის საბაბს არაფერი არ იძლევა.

ორიოდე სიტყვა თავად თამაშზე.; ამერიკული ფეხბურთი, რა დასამალია და უხეში, ძალისმიერი თამაშია, მაგრამ იგი, ამავე დროს, მშვიდობისმოყვარული სანახაობაა და იცით რატომ? იმიტომ, რომ ყველა დარღვევა, ყველა შეგნებული უხეშობა, ყველა სიმახინჯე წესებში არის დაფიქსირებული და სასჯელი სათანადოდ კვალიფიცირებული, თანაც განაჩენი ასეთი დარღვევებისთვის უაღრესად მკაცრია: ან გოლი ან დამარცხება...

## ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# როი ემერსონი

**60-იან წლებში ავსტრალიელ ჩოგბურთელებს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდათ, მათ შორის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ კი როი ემერსონი ითვლებოდა.**

როი სტენლი ემერსონი დაიბადა **1936** წლის **3** ნოემბერს ბლეკბატში, **100** მილის დაშორებით ქალაქ ბრისბენიდან. იგი ფერმერის უმცროსი ვაჟი იყო, ბავშვობიდან მოყოლებული იმდენი ძროხა მოწველა, რომ პირდაპირ რკინის ხელები გაუხდა. შემდეგში, როცა გამოჩენილი ჩოგბურთელი გახდა, ჟურნალისტების კითხვაზე, რას უნდა უმადლოდეს თავის წარმატებებს, მუდმივად ასე პასუხობდა — მამის ფერმაში შეუსვენებელ მუშაობას, ძროხების წველას, რომელმაც მაჯა არაჩვეულებრივად გაუმაგრა. ჟურნალისტებს ეცინებოდათ, ხუმრობა ეგონათ, როი კი მართალს ამბობდა.

ბავშვობაში შტატის ჩემპიონი იყო სპრინტში. ჩოგბურთსაც ბავშვობიდანვე მისდევდა, მაგრამ რაიმე წარმატება დიდხანს არ ჰქონია. პირველად ემომ (ასე ეძახდნენ მეგობრებიც და მეტოქეებიც) ყურადღება მიიპყრო **1954** წელს, როცა ნიუპორტის ტურნირში ლიუ ჰოადი დაამარცხა. მაგრამ ეს წარმატება შემთხვევითი გამოდგა. გადიოდა წლები, შედეგები კი კვლავ უმნიშვნელო იყო, მოგებებს წაგებები ენაცვლებოდა. თუ ემერსონი რაიმე სერიოზულს აპირებდა, რაღაც უნდა ელონა, საშუალო ძალის ჩოგბურთელად დარჩენა კი მას აშკარად ხელს არ აძლევდა.

და, აი, ემომ გადადგა კიდეც ეს გადამწყვეტი ნაბიჯი **1958** წელს, როცა ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში საზღვარგარეთ ტურნე შესთავაზეს. თუმცა იგი საკმაოდ სასურველი იყო, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური თვალსაზრისით, როიმ უარი განაცხადა, შინ დარჩა და გადაწყვიტა შეუპოვრად ევარჯიშა თავისი ტექნიკური არსენალის გასაუმჯობესებლად. მთელი ზამთრის განმავლობაში ენერგიულად მეცადინეობდა ბურთის მოწოდებასა და მარჯვნიდან დარტყმაზე. იმდენი ივარჯიშა, რომ დიდ შედეგებსაც მიაღწია.

**60**-იან წლებში იგი უკვე გამოჩენილი ოსტატი იყო, მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ავსტრალიის ნაკრებში, რომელიც **1959-67** წლებში დევისის თასს ფლობდა. **1964** და **1965** წლებში გაიმარჯვა უიმბლდონის ერთეულთა შეჯიბრებაში, **1959** და **1961** წლებში — წყვილთა შორის ფლეტჩერთან ერთად, **1971** წელს ლეივერთან ერთად ორ-ორჯერ მოიგო აშშ-სა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები, ექვსჯერ გახდა ავსტრალიის ჩემპიონი, **1961** და **1964** წლებში მსოფლიოს **№1** ჩოგბურთელად ითვლებოდა.

როგორც ჩოგბურთის ისტორიკოსებს მიაჩნიათ, როი ემერსონი, ეტყობა ყველაზე უფრო სწრაფი მოთამაშე იყო მთელი ისტორიის მანძილზე. მის სხვა დიდ ღირსებას წარმოადგენდა საუკეთესო ფიზიკური მომზადება და მზადყოფნა. ხაზს უსვამდნენ ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალსაც — რაც არ უნდა საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონოდა, დილაობით არასოდეს დაარღვევდა მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას, მაინც გაირბენდა რამდენიმე მილს.

ემერსონი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მატჩისთვის თუ **100** პროცენტით იყო მომზადებული, საერთოდ ვერავინ დაუდგებოდა წინ. გარკვეულ წლებში ეს მართლაც ასე იყო, თუმცა ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ ემოს არც რაიმე განსაკუთრებული ფანტაზია ჰქონდა, არც დიდი იმპროვიზაცია და კოლორიტი. მის ღირსებად ითვლებოდა მძლავრი დარტყმები, დიდი მობილურობა, მთავარ ნაკლად კი, ავსტრალიის ნაკრების **60**-იანი წლების მწვრთნელის ალფ ჩეივის აზრით, ტაქტიკური ერთფეროვნება და თამაშის ვარირების უუნარობა. მოვუსმინოთ ალფ ჩეივს:

— ბალახისსაფარიან ტურნირებში ემერსონს არაჩვეულებრივი სისწრაფე ნებისმიერი შეჯიბრების მოგების საშუალებას აძლევს, მაგრამ ერთფეროვანი დარტყმები საქმეს უფუჭებენ. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ერთსა და იმავე სიმაღლეზე, ერთი და იმავე სისწრაფით მოძრაობს. ემერსონის თამაშს მოულოდნელობის ელემენტი აკლია.

ასე იყო თუ ისე, რ. ემერსონის უნარი, ნებისმიერ ბურთს მიწვდომოდა, მეტოქეებზე დამთრგუნველად მოქმედებდა. იგი იშვიათად თმობდა ქულას. იმასაც კი ამბობდნენ, რომ უფრო ადვილია კორიდაზე ხარს შეებრძოლო, ვიდრე კორტზე ემერსონს გაუმკლავდეო.

**60**-იან წლებში ავსტრალიაში ბევრი ცნობილი ოსტატი დაწინაურდა, სად აღარ იმარჯვებდნენ, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრებში მოხვედრა ძალიან უჭირდათ. ზოგი რომელ ქვეყანაში გადასახლდა, ზოგი — რომელში, შინაურ მღვდელს შენდობა არ ჰქონდა.

ემო კი ყოველწლიურად იგებდა ავსტრალიის ჩემპიონატს, სწორედ იმ ხელებით, რომლებიც ძროხების მოწველაში გაუმაგრდა...



როი ემოსონი

## ჭადრაკი

# ვინ — ვის, მანქანა თუ ადამიანი?

**„შესაძლოა, მე ვარ ბოლო მსოფლიო ჩემპიონი ადამიანებში, — ნაღვლიანად განაცხადა გარი კასპაროვმა ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, როცა დიდი გაჭირვებით დაამარცხა ამერიკული საჭადრაკო კომპიუტერი — „ღრმა აზრი“. გერმანელი დიდოსტატი ჰელმუტ პფლეგერი კი, საერთოდ, ღრმად არის დარწმუნებული, რომ 2018 წლისათვის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში იქნება... მანქანა.**

საშინელი წინასწარმეტყველებაა! სწორედ ამიტომ იბადება კითხვა: რა ამოძრავებს ადამიანებს (მანქანის პროგრამას ადამიანები ადგენენ), როცა ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტად შეზღუდონ კაცობრიობის აზროვნების შესაძლებლობანი?

„ჭადრაკი — ტვინის სასინჯი ქვაა“ — უთქვამს თავის დროზე დიდ გოეთეს. ის, ვინც ცუდად არ თამაშობს ჭადრაკს, უსათუოდ აზროვნებს შემოქმედებითად და ფლობს წარმოსახვის გარკვეულ უნარს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭადრაკის თამაში ინტელექტუალური დონით უფრო მაღლა დგას ვიდრე უნარი იანგარიშოს, რომ ორჯერ ორი — ოთხია.

აი, სწორედ აქ ვლინდება პროგრამისტთა პატივმოყვარეობა. საქმე ისაა, რომ წმინდა მათემატიკის გზით ჭადრაკის საიდუმლოების ჩაწვდომის ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. დიახ, ჭადრაკი კომპლექსური მოვლენაა. თუ კომპიუტერი სვლების და კომბინაციების უბრალო დათვლით შემოიფარგლება, იგი სწრაფად მიაღწევს თავისი შესაძლებლობების ზღვარს. რატომ? იმიტომ რომ, ოთხი სვლის შემდეგ წარმოიშვება 2,56 მილიონი შესაძლებლობა, თერთმეტი სვლის შემდეგ კი 419 ტრილიონი. ასეთი სიდიდეები ეწინააღმდეგება ნებისმიერი მანქანის პოტენციალს.

ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე პროგრამისტებმა მიზნად დაისახეს ასწავლონ კომპიუტერს ფიქრი. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, გონივრული შერჩევის უნარი და ამით დაუახლოვონ იგი ადამიანის შესაძლებლობებს.

ადამიანის გონების მოდელის იმიტაცია კომპიუტერისთვის ნიშნავს იმას, რომ მოამარაგო მისი მეხსიერება დიდოსტატების მიერ ნათამაშევი პარტიებით. მანქანა ცდილობს გაიმეოროს ადამიანის აზრების მიმდინარეობა ამა თუ იმ პოზიციის შესაფასებლად. მრავალჯერადი „ვარჯიშის“ მეთოდით კომპიუტერი ითვისებს ამ ცოდნას და იყენებს მას კონკრეტულ შემთხვევებში.

ამ მეთოდის წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მეხსიერების მოცულობაზე: თუ როდესმე ერთ მიკროსქემაში მოთავსდა ინფორმაცია 100 ათას ან მეტ სრულ პარტიაზე, ჩათვალეთ, რომ ადამიანს ბრძოლა მანქანასთან წაგებული ექნება.

რამდენად ახლოს არიან პროგრამისტები ამ მიზანთან, განსაზღვრავს ადამიანისა და მანქანის ბრძოლა ჭადრაკში ჰეგემონიისათვის. ადრე საჭადრაკო პრესაში ხშირად ვხვდებოდით ადამიანისა და მანქანის თამაშის ჩანაწერებს. მაშინ ადამიანი, როგორც წესი, ამარცხებდა მანქანას. მიმომხილველები ხალისით აანალიზებდნენ კომპიუტერის შეცდომებს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ტექნიკას წარმატების არავითარი შანსი არა აქვს ადამიანთან ბრძოლაში. მაგრამ გავიდა დრო და კომპიუტერი სულ უფრო ხშირად გამოდის გამარჯვებულის როლში და ადამიანებმაც შეცვალეს ტაქტიკა: პროფესიონალები უარს ამბობენ მანქანასთან შეხვედრაზე. წარმოიშვა ერთობ პიკანტური სიტუაცია, კომპიუტერების მწარმოებელი მსხვილი ფირმები, ამავე დროს, თითქმის ყველა საჭადრაკო ტურნირების სპონსორები არიან. ჰამბურგის ფირმამ „ჰეგენერ + გლაუერ აგ“-მ, რომელიც მანქანების ბაზრის ყველაზე გავლენიანი მეპატრონეა, გადაწყვიტა დააფინანსოს მოჭადრაკეთა ტურნირი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ საუკეთესო მანქანები მონაწილეობენ. ჭადრაკის თამაშის წესები 10 მილიონზე მეტმა გერმანელმა იცის — ისინი არიან საჭადრაკო კომპიუტერების პოტენციური მყიდველები (ფასი 55 მარკიდან 5 ათასამდე). 1980 წელს გაიყიდა 4 ათასი მანქანა, 1990 წელს კი — 80 ათასი. პროფესიონალები არჩევანის წინაშე არიან: ან „წმინდა“ საჭადრაკო ტურნირებში გამოვიდნენ და ამაში რამდენიმე 100 საცოდავი მარკა მიიღონ, ანდა კომპიუტერებთან ბრძოლაში ერთი ასად აინაზღაურონ გასამრჯელო.

საუკეთესო მიკროკომპიუტერის რეიტინგია 2450 ქულა. კარგად მოთამაშე მოყვარულისა 1600-1900, სუპერკომპიუტერის შესაძლებლობები კი 2500 ქულით ფასდება. კასპაროვის რეიტინგი, მოგეხსენებათ, 2800-ს უახლოვდება. ახლა შეადარეთ: გერმანიაში რეგისტრირებულ 120 ათას ჭადრაკის მოყვარულში მხოლოდ 33 კაცია ისეთი, ვისი რეიტინგიც 2400 ქულას აღემატება. როგორ ფიქრობთ, შესწევს თუ არა უნარი კომპიუტერულ ნაკრებს დაუპირისპირდეს გერმანიის მოჭადრაკეთა ბუნდესლიგას?

# ხუთი რგოლის გარშემო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს, გაიმართა დისკუსია თემაზე სპორტისა და ოლიმპიური თამაშების დახმარებით უკეთესი და უფრო მტკიცე მშვიდობისათვის. დებატებში მონაწილეობდა სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, აგრეთვე, რიგი ქვეყნების სპორტის მინისტრები. სამარანჩმა ხაზი გაუსვა გაეროსთან უფრო ახლო თანამშრომლობის აუცილებლობას, ვინაიდან „სპორტი თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია“. ეს იყო სოკის პრეზიდენტის პირველი გამოსვლა გაეროში. შემდეგ, 150 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც წაიკითხა ლოსანჯელესის 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა ბარტ კონერმა.

როგორც ვიუწყებოდით, 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ხელისმაძიებელთა შორის იყო საფრანგეთის ორი ქალაქი — ლილი და ლიონი. მაგრამ, ვინაიდან ყოველ ქვეყანას უფლება აქვს ჰყავდეს მხოლოდ ერთი კანდიდატი, მოეწყო არჩევანი პრეტენდენტებს შორის. 27 ხმით 16-ის წინააღმდეგ უპირატესობა მოიპოვა ლილმა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი ორჯერ მასპინძლობდა ზაფხულის და სამჯერ ზამთრის ოლიმპიადებს. ზაფხულის თამაშები მოეწყო პარიზში 1900 და 1924 წლებში, ზამთრისა კი შამონში (1924), გრენობლსა (1968) და ალბერვილში (1992). ამასთან, საინტერესოა აღინიშნოს, რომ პარიზმა 1992 წელს წააგო ბრძოლა ბარსელონასთან, ლიონი კი ორჯერ დამარცხდა ანტვერპენთან (1920) და მეხიკოსთან (1968). და კიდევ, საფრანგეთში გაიმართა ხუთი ოლიმპიური კონგრესი (დღემდე ჩატარებული თორმეტიდან).

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 2004 წლის ოლიმპიადის მოწყობის განაცხადების მიღება შეწყდება 1996 წლის 10 იანვრისთვის. განაცხადს ხელს უნდა აწერდეს ქალაქის მერი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. იმავე წლის 23 იანვარს, კანდიდატურებს წარუდგენენ სოკის აღმასკომს ლოზანაში. 15 აგვისტოს მიიღებენ კანდიდატ ქალაქთა სრულ დოსიეს, აქვე უნდა იყოს სახელმწიფო და ფინანსური გარანტიები. 1996 წლის სექტემბრიდან 1997 წლის იანვრის ჩათვლით, სოკის სპეციალური კომისიები ესტუმრებიან კანდიდატ ქალაქებს. 1997 წლის მარტში მოეწყობა ოთხი ფინალისტი ქალაქის არჩევა. მარტი-სექტემბერი დასჭირდება ფინალისტ ქალაქთა დათვალიერებას. 2004 წლის ოლიმპიადის დედაქალაქს აირჩევენ 1997 წლის 7 სექტემბერს სოკის სესიაზე.

იტალიის მთავრობამ ოფიციალურად დაუჭირა მხარი რომს, როგორც 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მოწყობის ერთ-ერთ კანდიდატ ქალაქს. შეგახსენებთ, რომ იტალიის დედაქალაქს ერთხელ უკვე ჰქონდა დაკისრებული ეს მისია. 1960 წელს რომმა მშვენივრად გაართვა თავი XVII ოლიმპიურ თამაშებს და ამისათვის სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა.

ლელო ბიბლიოთეკა

**უცხოეთის ფეხბურთის ამბები**

# მარკო ვან ბასტენი — «სენიორ გოლი»



როგორც აგვისტოში გამოცხადდა, ტრავმის გამო, თითქმის ორწლიანი მკურნალობის მიუხედავად, თამაშს ველარ გააგრძელებდა თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი თავდამსხმელი ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი (დაიბადა 1964 წლის 30 ოქტომბერს). თუ ჩავთვლით, რომ მისი თავბრუდამხვევი კარიერა ფაქტობრივად ორი წლის წინათ დამთავრდა, შეიძლება ითქვას, „სენიორ გოლმა“ ცოტა ითამაშა, ძალიან ცოტა. აი, რამდენიმე საყურადღებო ნაწყვეტი მ.ვან ბასტენის ერთ-ერთი ინტერვიუდან:

● **რას იტყვით საკუთარ თავზე?**

— 180 სანტიმეტრის სიმაღლისა ვარ, 85 კილოგრამს ვიწონი. ფეხბურთის გარდა მიყვარს ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, წყალში ხტომა, ბეისბოლი და ჰოკეი. რაც თავი მახსოვს, ფეხბურთს ვთამაშობ. ეს მამაჩემის გავლენით მოხდა. 6 წლისა უკვე ბურთს დავდევდი.

● **„აიაქსს“ როდის დაუკავშირდით?**

— 16 წლისა. ჩემთან ბევრი იმუშავა პირველმა მწვრთნელმა აად დე მოსმა.

● **შემდეგ?**

— 1982 წელს დებიუტი მქონდა „აიაქსის“ ძირითად შემადგენლობაში. „ნიიმეგენს“ ვეთამაშებოდით და ანგარიშიც მიგვყავდა — 2-0, როცა დამავდა იოჰან კრუიფი, დე მოსმა მის ნაცვლად მინდორზე მე გამომიყვანა, ერთი სიტყვით, ჩემი საფეხბურთო კერპი იოჰან კრუიფი შევცვალე. მოხდა ისე, რომ სულ რაღაც ორიოდე წუთის შემდეგ გოლი გავიტანე. მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 5-0, თამაშის მერე კრუიფმა შემაქო კიდეც.

● **ნაკრებში როდის გქონდათ დებიუტი?**

— 19 წლისას, ისლანდიელთა წინააღმდეგ.

● **ფიქრობდით თუ არა ახალი კრუიფი გამხდარიყავით?**

— კრუიფი ყოველთვის ლეგენდარულ ფეხბურთელად მიმაჩნდა, მაგრამ არ მიცდია მისი „ასლი“ გავმხდარიყავი.

● **რა მოგწონდათ კრუიფის თამაშში?**

— მისი მრავალმხრივი ოსტატობა: ტექნიკა, სისწრაფე, სნაიპერული ღირსებები, საფეხბურთო აზროვნება.

● **პირადად თქვენ რა გაკლიათ?**

— რა გითხრათ! ალბათ, ფიზიკური მონაცემები.

● **როცა კრუიფი „აიაქსის“ მწვრთნელი გახდა, თქვენ მასთან ერთგვარი უთანხმოება მოგივიდათ.**

— 1986 წელს ჰოლანდიის ჩემპიონატში 37 გოლი გავიტანე. ეს ევროპაში ყველაზე მაღალი შედეგი იყო, რისთვისაც „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდო „ოქროს ბუცი“ მომენიჭა. კრუიფს უნდოდა, რომ მე ყველა შეხვედრაში გოლი გოლზე გამეტანა, ეს კი, მოგეხსენებათ, შეუძლებელია. მაინც, კრუიფი სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვდა და ამბობდა, მიაღწევს იმას, რომ მე აღარ „ვთვლემდე“ მინდორზე. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ კრუიფი არ ვიყავი, არამედ ერთი ჩვეულებრივი სნაიპერი. ამის გაგება მას არ სურდა...

● **„მილანში“ თქვენს გარდა გულიტი და რაიკაარდი თამაშობდნენ. თქვენი თანამემამულეებიდან კიდევ ვის მიიწვევდით ამ გუნდში?**

—რონალდ კუმანს! იგი შესანიშნავი ფეხბურთელია. კიდევ, რომ შეიძლებოდეს, ვუოტერსაც, ასეთი ოსტატი ყველა გუნდს სჭირდება.

● **ძნელია თუ არა იტალიაში გოლების გატანა?-**

— მეტისმეტად ძნელი. იქ ცოტა ბურთი გააქვთ.

● **აი, ისეთი სნაიპერები რომ თამაშობდნენ, როგორიც იან რეშია, მაშინ რაღა მოხდებოდა?**

— რეში რვა-ცხრა წლის მანძილზე შეუცვლელი იყო „ლივერპულისთვის“, რომლის სათამაშო მექანიზმსაც ძალიან კარგად მოერგო. აქ, იტალიაში, იგი ვერაფერს გახდა და ამიტომაც ძალიან კარგად მოიქცა, როცა სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა.

**გივი თორელი**

**ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში**

(პირველი გვერდიდან).

**გათამაშების დებულების თანახმად, ჯგუფებში გამარჯვებულებმა პირდაპირ მიიღეს ფინალური ტურნირის საგზური. ასეთი გუნდი, მოგეხსენებათ, რვა იყო. მეორე ადგილებზე გასულებს ერთმანეთთან შესადარებლად ეთვლებოდათ თავიანთ ჯგუფებში, პირველ, მესამე და მეოთხე გუნდებთან ნათამაშები მატჩების შედეგები. ამ რთული მათემატიკური ოპერაციის შედეგად დადგინდა კიდევ ექვსი ფინალისტის ვინაობა. მეორე ადგილოსანთა შორის, ორი უარესი შედეგის მქონე ჰოლანდია და ირლანდია 13 დეკემბერს, ლივერპულში, მეთხუთმეტე საგზურს გაითამაშებენ. მეთექვსმეტე ფინალისტი კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის მასპინძელი — ინგლისია.**

**მაშ ასე, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება გაინაღდეს: რუმინეთმა, ესპანეთმა, შვეიცარიამ, ხორვატიამ, ჩეხეთმა, პორტუგალიამ, გერმანიამ, რუსეთმა, საფრანგეთმა, დანიამ, თურქეთმა, იტალიამ, ბულგარეთმა, შოტლანდიამ და ინგლისმა. ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა წილისყრა 16 დეკემბერს გაიმართება.**

***

**პარალელურად დამთავრდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩებიც. ბოლო ტური ასეთი შედეგებით აღინიშნა: I ჯგუფი. საფრანგეთი — ისრაელი 3-0, სლოვაკეთი — რუმინეთი 3-1, აზერბაიჯანი — პოლონეთი 1-2; II ჯგუფი. ესპანეთი — მაკედონია 4-0, დანია — სომხეთი 4-0; III ჯგუფი. უნგრეთი — ისლანდია 3-1, შვედეთი — თურქეთი 6-1; IV ჯგუფი. იტალია — უკრაინა 2-1, იტალია — ლიტვა 0-0, სლოვენია — ხორვატია 4-2; V ჯგუფი. ჰოლანდია — ნორვეგია 2-1, ჩეხეთი — ლუქსემბურგი 4-0, მალტა-ბელარუსი 0-2; VI ჯგუფი. პორტუგალია — ირლანდია 3-1; VII ჯგუფი. გერმანია — ბულგარეთი 7-0, მოლდოვა — საქართველო 2-1; VIII ჯგუფი. რუსეთი — ფინეთი 3-0; შოტლანდია — სან-მარინო 1-0.**

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირებში „გაიმარჯვეს: საფრანგეთის (I ჯგუფი), ესპანეთის (II ჯგუფი), უნგრეთის (III ჯგუფი), იტალიის (IV ჯგუფი), ჩეხეთის (V ჯგუფი), პორტუგალიის (VI ჯგუფი), გერმანიის (VII ჯგუფი), შოტლანდიის (VIII ჯგუფი) წარმომადგენლებმა. მომდევნო ეტაპზე ზემოთ აღნიშნული რვა გუნდი მეოთხედფინალს გაითამაშებს. გამარჯვებულთა ოთხეული გააგრძელებს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას.**



● გაიმართა ნორვეგიის თასის ფინალური მატჩის გადათამაშება „რუსენბორგსა“ და „ბრანს“ შორის. გაიმარჯვა „რუსენბორგმა“ — 3-1.

● იტალიის „მილანმა“ 5 მილიონ დოლარად გააფორმა კონტრაქტი სენეგალელი წარმოშობის ფრანგ ფეხბურთელ პატრიკ ვიიერთან (19 წლის სენეგალელი მანამდე „კანში“ გამოდიოდა). კონტრაქტი დადებულია 2000 წლამდე.

● ბულგარელმა ფეხბურთელმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელიც ახლა იტალიის „პარმაში“ გამოდის, თავისი ქვეყნის დედაქალაქის სოფიის საქველმოქმედოდ გაიღო 100 ათასი ამერიკული დოლარი.

● დიეგო მარადონამ, მას შემდეგ, რაც ოქსფორდში ვეება აუდიტორიის წინაშე წარმატებით წაიკითხა ლექცია ფეხბურთის თემაზე, რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ აღარ აპირებს თამაშს არგენტინის ნაკრებში და მხოლოდ „ბოკა ხუნიორსში“ გამოვა.

● ლიბერიელი ფეხბურთელი ჯორჯ ვეა, რომელიც იტალიის „მილანში“ გამოდის, მიიჩნიეს აფრიკის 1995 წლის საუკეთესო მოთამაშედ. იგი მილანიდან ჩავიდა სამშობლოში და ჩაიბარა საპატიო პრიზი.

● 60 ათასი მაყურებელი დაესწრო ლაგოსში აფრიკა-აზიის თასის საპასუხო მატჩს ნიგერიისა და უზბეკეთის გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა ტაშკენტში ნიგერიელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3-2, მათ ამჯერადაც გაიმარჯვეს (1-0) და დაეპატრონენ თასს.

# „ერთადერთი სპეციალობა“ — გოლების გატანა!

როგორც ყველგან, ავსტრიელ გულშემატკივარსაც ჰყავს თავისი საყვარელი ფეხბურთელები. აღტაცებით წარმოთქვამენ ომამდელი ვირტუოზების სესტას, სინდელარის, ბინდერის სახელებს, იგონებენ 50-იანი წლების ვარსკვლავებს ზემანს, ჰანაპის, ჰაპელს, ოცვირკს, გნებავთ კრანკლსა და პროჰაზკას, რომლებმაც სულ ახლახან დაანებეს თამაშს თავი. ამასთან, მაინცდამაინც არ უყვართ ახლანდელი ფეხბურთელები, თვით ანტონ პოლსტერიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მას უამრავი გოლი გააქვს. ეს მაშინ, როცა ავსტრიაში ყველა აღიარებს მის ამ უდავო ღირსებას, იმდენად აღიარებს, რომ გვარი ოდნავ შეუცვალეს და „გოლსტერი“ დაარქვეს.

ანტონ პოლსტერის (დაიბ. 1964 წლის 10 მარტს) მამა, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, თვით იყო ფეხბურთელი, თამაშობდა ვენისა და ინსბრუკის გუნდებში, ავსტრიის მეორე ნაკრებში გამოდიოდა და ერთხელ — პირველ ნაკრებშიც კი. მამამ 9 წლის ტონი ვენის „აუსტრიის“ ბავშვთა გუნდში მიიყვანა, 17 წლისა უკვე „აუსტრიის“ ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა, ერთხანს „ზემერინგს“ ათხოვეს, სადაც კარგი სათამაშო პრაქტიკა მიიღო და ისევ „აუსტრიას“ დაუბრუნდა. აი მისი ძირითადი წარმატებები ამ გუნდში: 1984, 1985 და 1986 წლებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, სამჯერ მოიპოვა ავსტრიის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერის წოდება: 1985 წელს 24 გოლი გაიტანა, 1986 წელს — 32, 1987 წელს კი განსაკუთრებით მაღალ შედეგს მიაღწია — 39 (!) გოლი. ასეთმა წარმატებებმა ტონის ერთხელ „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდო „ბრინჯაოს ბუცი“ მოუტანა, მეორეჯერ კი — „ვერცხლის ბუცი“. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას არ შეუცვლია ავსტრიელ გულშემატკივართა საკმაოდ გულცივი დამოკიდებულება პოლსტერის მიმართ.

18 წლისას დებიუტი ჰქონდა ავსტრიის ნაკრებში, სადაც იგი დღემდე ირიცხება, თუმცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველგვარ საშუალებას ეძებენ, რომ სათადარიგო სკამზე დამსვან“, ხან რას მომიმიზეზებენ და ხან — რას. როცა საუბარი ჩამოვარდება ომამდელი ავსტრიული „ვუნდერტიმის“ („საოცარი გუნდის“) და 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდის თავდამსხმელებზე და მათ პოლსტერს ადარებენ, ამ უკანასკნელზე, უბრალოდ, ხელს ჩაიქნევენ ხოლმე. ერთი სიტყვით, დიდი ცდის მიუხედავად, „გოლსტერმა“ სამშობლოში პოპულარობა ვერ მოიხვეჭა.



თეთრ მაისურში — პოლსტერი.

1987 წელს იტალიის „ტორინომ“ პოლსტერი „აუსტრიისგან“ 18 მილიონ შილინგად შეიძინა. ასეთი თანხა მანამდე არც ერთი ავსტრიელი ფეხბურთელისათვის არ გადაუხდიათ, მაგრამ ისევე, როგორც ავსტრიაში, პოლსტერი იტალიაშიც ნაკლებად უყვარდათ. „არ ვიცი, რა უნდოდა „ტორინოს“ ჩემგან, რა მოეთხოვება თავდამსხმელს? გოლების გატანა. დიახ, და იმ ჩემ პირველ ჩემპიონატში 9 გოლი გავიტანე. განა ცოტაა?“ ამასთან, ტონიმ ისიც თქვა, რომ სულ 32 კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან მწვრთნელმა ლუიჯი რადიჩემ 22-ჯერ (!) შეცვალა. „იტალიაში სულ ერთი სეზონი დავყავი, თუმცა კარგიც ბევრი მახსოვს: ქვეყნის თასის ფინალში გავედით, უეფას თასზეც ვითამაშეთ, ნამდვილი საბრძოლო გამოცდილებაც მივიღე“.

1988 წლიდან პოლსტერი ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „სევილიაში“ გამოდის. თქვენ წარმოიდგინეთ, ვენელი და ტურინელი გულშემატკივრებისგან განსხვავებით სევილიელები პოლსტერისთვის სულსაც არ იშურებენ. „სევილიაში“ მაინცდამაინც არ უყვარდათ მეკარე რინატ დასაევი, თუმცა, პოლსტერთან შედარებით, მას გაცილებით უფრო მაღალი საერთაშორისო რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ ავსტრიელ თავდამსხმელს, რომელმაც თვით მადრიდის „ბერნაბეუს“ სტადიონზე „რეალის“ კარში ორი მშვენიერი გოლის გაიტანა, დიდად აფასებდნენ.

და აი დადგა დრო, როცა „გოლსტერი“ თვით ვენაშიც აღიარეს, ყველაზე უფრო სკეპტიკოსმა გულშემატკივრებმაც კი. ეს მაშინ მოხდა, როცა 1989 წელს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვენაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან ავსტრიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3-0. სამივე გოლი პოლსტერმა გაიტანა და თავის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოუპოვა.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ავსტრიელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს და ეს, რა თქმა უნდა, პოლსტერსაც ეხებოდა. რა ვუყოთ, მერე! მას არ დავიწყებია თავისი სპეციალობა — კვლავ გააქვს გოლები და იმედოვნებს, რომ ავსტრიის ნაკრებშიც შეძლებს ამას.

**გივი გამრეკელი**

# საუნა — მეგობარი და მტერი

საუნა ანუ ფინური აბანო 25 საუკუნეს ითვლის. თავდაპირველად საუნას ყურადღება მიაქციეს ექიმებმა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. საუნას ურჩევენ რევმატოლოგები, ტრავმატოლოგები, სპორტული მედიცინის სპეციალისტები. შექმნილია საუნოლოგიური საზოგადოება. 1975 წლიდან გამოდის სპეციალური ჟურნალი, გამოქვეყნებულია 700-მდე ნაშრომი საუნის სამკურნალო თვისებების შესახებ, სადაც აღწერილია, როგორც სასარგებლო ისე უკუჩვენებები. საუნას უწოდებენ „ღარიბთა წამალს“. ფინური საუნა კეთდება ხის მასალისაგან, შუაგულში მოთავსებულია ღუმელი გრანიტის ან დიორიტის ქვებით, ტემპერატურა 70-100 გრადუსამდე მერყეობს, სინოტივე დაბალია — 5-15%-მდე.

საუნით სარგებლობა ეკრძალებათ მძიმე სომატური დაავადებების, ფსიქიური აშლილობის ადამიანებს, აგრეთვე მშიერ და მაძღარ მდგომარეობაში მყოფთ. საუნაში სარგებლობა შეიძლება მსუბუქი საკვების მიღებიდან ერთი ან ნახევარი საათის შემდეგ.

სარგებლობის ხანგრძლივობა დგინდება წლოვანების და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით.

ფინეთში ბავშვები საუნაში შედიან მოზრდილებთან ერთად. საუნას იყენებენ როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას და ზემო სასუნთქი გზის კატარის, კანის და რევმატოლოგიური დაავადებების შემთხვევაში.

ჩეხოსლოვაკიაში ბავშვებმა საუნაში სიარული დაიწყეს 50-იან წლებში. საუნას ხმარობენ 3-დან 10 წლის ბავშვებში, რომელთაც აქვთ ზემო სასუნთქი გზების კატარი, ბრონქული ასთმა. ბავშვებისათვის საუნაში ყოფნის დრო და ტემპერატურა შეიძლება შევამციროთ, ყველაზე მაღალ თაროზე ტემპერატურა 80 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

ბავშვები, რომლებიც მშიშრები და ჰირვეულები არიან, ემატებათ გამბედაობა, თამამად შედიან კონტაქტში თანატოლებთან და მოზრდილებთან. ძუძუთა პერიოდიდან ყველა ბავშვი შეიძლება მშობელმა თავისთან შეიყვანოს საუნაში. საუნით არ შეიძლება ისარგებლონ ბავშვებმა, რომელნიც დაავადებული არიან გულყრით, გულის ასთმით, სიმსივნური დაავადებით, ლიპოიდური ნევროზით, იდეოპატიური ფილტვების ჰემოსიდეროზით, ბრონქოექტაზიით, კანის მწვავე ეკზემით, ფსორიოზის მწვავე სტადიით, სოკოვანი მიკოზით, პროგრესული სკლეროდერმიით და სხვა დაავადებებით.

ექიმებისა და მწვრთნელების დასკვნით: საუნა ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაჟებას, სპორტული ფორმის შენარჩუნებას, ზემო სასუნთქი გზების კატარით დაავადების ასაცილებლად, ამიტომ საუნის მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვირუსული დაავადების აღსაკვეთად. საუნა ადამიანის ფსიქიკაზე მატონიზირებლად მოქმედებს: საუნა აბსოლუტურად ხსნის დაღლას, სპორტსმენებს შეუძლიათ ისარგებლონ საუნით ვარჯიშიდან საათი ან საათნახევარი დასვენების შემდეგ. საუნა იწვევს დაკარგული ძალების სწრაფ აღდგენას, აგრეთვე კუნთებში ტკივილის მოხსნას, საუნის მიღების შემდეგ ვითარდება ემოციური რელაქსაცია: ღრმავდება ძილი, უმჯობესდება გუნება-განწყობილება. სპორტსმენებს, რომელთაც ესაჭიროებათ წონის დაკლება, საუნაში ყოფნის პერიოდში ოფლის სახით კარგავენ 1,5 მლ. წყალს და წონაში იკლებენ. საუნაში ყოფნის რეჟიმი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია დატვირთვის ხარისხზე, ვარჯიშის საწვრთნელ პერიოდზე.



სპორტსმენებში ფიზიკური დატვირთვის მომატებასთან ერთად იზრდება გადაღლა. ამიტომ საუნა, როგორც ფიზიო-თერაპიული პროცედურა, ფართოდ გამოიყენება სპორტულ-რეაბილიტაციაში, სამკურნალო ფიზკულტურაში, ზოგიერთი დაავადების პროფილაქტიკაში, დაკარგული ძალების აღდგენისას.

თუ საუნა დანიშნულია რეაბილიტაციისათვის, მაშინ საჭიროა დავიცვათ ძირითადი წესები: როცა ორგანიზმში პათოლოგიური ცვლილებებია, საუნაში დაყოვნების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ცხელჰაეროვანი ტემპერატურა — 70-100 გრადუსს, სინოტივე 5-15 პროცენტს. ზუსტად უნდა დავიცვათ დაწესებული პროცედურების წესი. საუნის შემდეგ ცივ აუზში შესვლა ინიშნება ინდივიდუალურად. საუნის შემდეგ რეკომენდირებულია მინერალური წყლების და წვენების მიღება, ვინაიდან ადამიანი (ოფლის სახით) კარგავს დიდი რაოდენობის სითხეს. საუნის მიღება არაა სასურველი მათთვის, ვისაც შეუსრულდა 60 წელი, ვინც დაავადებულია ჰიპერტონიით, ფსიქიურად ან მწვავე ნევროზით, კუჭისა ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით, გადატანილი აქვს ინფარქტი და სხვა.

**თენგიზ ჭუთათელაძე**
ექიმი.

## ჭადრაკი • ამოცანა



სვლა თეთრებით — მოგება.

## ყურადღება!

**შპს „ინფო“-ს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, 1995 წლის 6 დეკემბრამდე, წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები.**

**საორგანიზაციო კომისია.**

## ტრაგედია

ხორვატიის ჩემპიონატზე ავტორალიში უბედური შემთხვევა მოხდა. წვიმით მოლიპულ გზაზე მანქანა მოუცურდა 48 წლის დამირ ვიზნერს, რომელიც შეეჯახა რკინის ბოძს. დაზარალებულმა მძიმე ტრავმა მიიღო თავის არეში. ავტომრბოლი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. შეჯიბრება, ბუნებრივია, შეწყდა და განახლდა მხოლოდ მეორე დღეს.

# ჯიმი მერაბიშვილი



კიდევ ერთი გამოჩენილი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა ბოროტებამ. გარეწრებმა სიცოცხლე მოუსპეს შესანიშნავ ახალგაზრდას, ჭეშმარიტ რაინდს — ჯიმი მერაბიშვილს. იგი მრავალმხრივი სპორტსმენი გახლდათ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. თავისუფალ ჭიდაობაში და მკლავჭიდში საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. ქართული სპორტის ისტორიაში მერაბი პირველი იყო, რომელმაც დამოუკიდებელი სამშობლოს სახელით ოქროს მედალი მოიპოვა ევროპის მკლავჭიდელთა ჩემპიონატში — საქართველოს ჰიმნიც პირველად მის საპატივცემულოდ აჟღერდა ციურიხში.

უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა სპორტმა. ასე მოულოდნელად გაქრა მომავლის ოცნებები, მკლავჭიდელთა ეროვნულმა ნაკრებმა დაკარგა უნიჭიერესი სპორტსმენი, ოჯახმა საამაყო შვილი, მეუღლემ ცხოვრების თანამგზავრი, ოთხი წლის ბიჭუნამ უსაყვარლესი მამა, რომელიც ცხოვრებაში მისი საფიცარი გახდება.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, თავისუფალი ჭიდაობისა და მკლავჭიდის ფედერაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჯიმი მერაბიშვილის დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 21 ნოემბერს, კასპის რაიონის სოფელ მეტეხში.

## კრიმინალური ქრონიკა

### დაიკარგა კობოზევი

უგზო-უკვლოდ დაიკარგა ამერიკაში მცხოვრები რუსი პროფესიონალი მოკრივე, 31 წლის სერგეი კობოზევი. უკანასკნელად იგი უნახავთ მიდვუდის მახლობლად, ბენზინის გასამართ სადგურთან. მერე მისი კვალი ქრება.

კობოზევი შეერთებულ შტატებში ჩავიდა 1990 წელს. მალე მიიღო პროფესიონალი მოკრივის სტატუსი და დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრება მოკრივისა, რომელშიც მთვარი ადგილი წვრთნასა აქვს დათმობილი. 1994 წლის 30 ივნისს მან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს ქამარი 86,2 კილოგრამში ვბა-ს ვერსიით. შემდეგ ორჯერ წარმატებით დაიცვა ტიტული, მერე კი დამარცხდა არგენტინელ მარსელო დომინგესთან.

პოლიცია ეძებს დაკარგულს.

### გასკოინიც ციხეში?

ადვილი შესაძლებელია, რომ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის“ ნახევარმცველი პოლ გასკოინი მოხვდეს ციხეში. საქმე ის გახლავთ, რომ გასკოინმა შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო მატჩში გალახა „აბერდინის“ მოთამაშე პოლ ბერნარდი. პროკურატურამ მატჩზე მყოფ პოლიციელებს მოთხოვა დაწვრილებითი ახსნა-განმარტება. საქმე ის გახლავთ, რომ შოტლანდიის კანონმდებლობით პასუხისგებაში შეიძლება მისცე ფეხბურთელი, თუკი ის ხელს გაარტყამს სახეში მეტოქეს. ამის პრეცედენტი უკვე არსებობს: „რეინჯერსის“ მეორე მოთამაშე დანკან ფერგიუსონი სწორედ ასეთი საქციელისთვის იხდის 3-თვიან სასჯელს გლაზგოს ერთ-ერთ საპატიმროში.

### მაკნილიც დააპატიმრეს

პიტერ მაკნილი — მოკრივე, რომელიც შეხვდა ციხიდან გამოსულ მაიკ ტაისონს, ბოსტონის ერთ-ერთ ღამის კლუბში ატეხილი ჩხუბისა და აყალ-მაყალის გამო დაპატიმრებულია. 103-კილოგრამიანმა მაკინლიმ ხელი გაარტყა ამავე კლუბში მყოფ ალდო ერნანდესს, რომელიც სულ რაღაც 65 კილოგრამს იწონიდა. დაზარალებული მიიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც მას რამდენიმე ნაკერი დაადეს.

# ათენის წინადადება უარყვეს

**ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის სხდომაზე, რომელიც ათენში მიმდინარეობდა, აირჩიეს ამ ორგანიზაციის ალმასკომის რამდენიმე ახალი წევრი, მათ შორის ლიტველი არტურას პოვილიუნასი: სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ 2008 წლის ოლიმპიადის მოწყობის უფლება კენჭისყრის გარეშე ათენისათვის მიეცათ. ევროპის დელეგატები ამ მოთხოვნას ნეგატიურად შეხვდნენ. ასოციაციის პრეზიდენტის ჟაკ როგის განცხადებით, სოკი ამ საკითხს არ განიხილავს სანამ 2004 წლის ოლიმპიადის ქალაქს არ აირჩევენ, ეს კი მოხდება 1997 წლის სექტემბერს.**



## კროსვორდი • კროსვორდი • კროსვორდი

შვეულად: 1. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 2. ზამთრის სათხილამურო ცენტრი; 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 4. „პარი სენ-ჟერმენის“ ფეხბურთელი, წლევანდელ ევროპულ ტურნირებში მონაწილე; 7. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება სპორტული შეჯიბრებების შესახებ. 8. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 10. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი; 12. საქართველოს საკალათბურთო კლუბი; 13. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 15. სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა; 16. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 17. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში; 19. ფრანგი ფეხბურთელი, მე-8 მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე; 21. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი.

თარაზულად: 5. ხიდისებური ნაგებობა, რომელზედაც გაყვანილია გზა; 6. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით; 9. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 11. არგენტინელი ფეხბურთელი, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე; 12. მოფარიკავის იარაღი; 14. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 18. პირველი ქალი, რომელმაც გადაცურა ლა-მანში; 20. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 21. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 22. ესპანეთის სტადიონი; 23. გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი; 24. ქართველი ფეხბურთელი, ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი.

შემდგენელი **ლევან ნეფარიძე**

„ლელო“-ს 43-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. კაკტუსი, 4. მაკნილი, 9. მოგვერდი, 10. პირამიდა, 13. სივორი, 15. „მილანი“, 16. მარიონეტი, 19. როდნინა, 22. „ბორუსია“, 23. გალდავა, 24. დრაფტი, 25. ულმანი, 30. ვლასოვი, 32. ვალდანო, 33. უნგრეთი, 37. პატერსონი, 39. კრემლი, 40. ჟდრასი, 41. არსენალი, 42. შარპანტე, 43. ყიფიანი, 44. ირიოლია.**

შვეულად: **2. ალვირი, 3. ჟუდმიაე, 5. „კაირატი“, 6. ლომაია, 7. ფორვარდი, 8. ედვარდსი, 11. ასტურია, 12. რიტუალი, 14. გოულდი, 17. ინდურაინი, 18. იოჰანსონი, 20. ჰანტელი, 21. ავილოვი, 26. ჰავბეკი, 27. ოსკარი, 28. არითმია, 29. ოლივეირა, 31. მეიფარტი, 34. კაკულია, 35. ანაბაჯი, 36. ალიევი, 38. იდეალი.**




# ეს სიახლეა, პირველად საქართველოში!

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია და საქართველოს სამეჯლისო (სპორტული) ცეკვების ეროვნული ასოციაცია აცხადებენ მიღებას მოსამზადებელ კურსებზე, რომლის მსმენელებიც 1996 წელს მიიღებენ მონაწილეობას აკადემიის მისაღებ გამოცდებზე სპორტული ცეკვების მწვრთნელის სპეციალობით.

სპორტული ცეკვები ოლიმპიური დისციპლინა გახდა და კურსდამთავრებულნი ისტორიაში შევლენ, როგორც ამ დარგის პირველი ქართველი სპეციალისტები.

აკადემიას აქვს სამხედრო კათედრა. წარჩინებულ სტუდენტებს მრავალი შეღავათი, სიურპრიზი და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ელით.

ჩვენი სამეჯლისო სკოლის აღზრდილები წარმატებით მუშაობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელში, რუსეთში. ხოლო მათგან საუკეთესონი ამერიკისა და იზრაელის ჩემპიონები არიან.

ახალგაზრდებო! თქვენ დაეუფლებით მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის სინთეზს, მუდმივ ხელოვნებას.

მოსამზადებელი კურსები იმუშავებს ყველასათვის კარგად ცნობილ „მუშტაიდის“ ბაღთან არსებულ სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „თელას“ ბაზაზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ:

**ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები.**

იჩქარეთ, კონტინგენტი შეზღუდულია.
ტელეფონი: 34-41-51



მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჭილაური. მ. წოწორია